



სულხან გელიაშვილი

სასასამართლოს მიერ საქმის მომზადების მიზნით  
შესასრულებელი მოქმედებები

წარმოდგენილია სამაგისტრო კვლევის პროექტი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი  
თბილისი, 0178, საქართველო  
2020 წელი

საავტორო უფლება © 2020 წელი, სულხან გელიაშვილი

## აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

(იურიდიული ფაკულტეტი)

ვადასტურებ, რომ გავეცანი სულხან გელაშვილის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომის კვლევის პროექტს და პროექტი მზად არის დასამტკიცებლად.

ხელმძღვანელი: გია ლილუაშვილი \_\_\_\_\_

თარიღი: 23.04.2020

## რეზიუმე

ნაშრომის საკვლევ თემას წარმოადგენს სასამართლოს მიერ საქმის მომზადების მიზნით შესასრულებელი მოქმედებები. თემა აქტუალურია, რადგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებიდან გამომდინარე და ასევე საქმისწარმოებისას ჩამოყალიბებული პრაქტიკის შესაბამისად, მრავალი შემთხვევაა, რომლებიც აბრკოლებს სასამართლოში სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, პრობლემური საკითხების კვლევისას და მათი გადაჭრის გზების ძიებისას, შესწავლილ იქნა, საქმის მომზადების ეტაპის მიზანი და მისი მნიშვნელობა, ამ მხრივ სასამართლოს მიერ შესასრულებელ მოქმედებათა შინაარსი, როგორც პრაქტიკული თვალსაზრისით ასევე საკანონმდებლო დონეზე. ნაშრომის შესრულებისას, საქართველოს საკანონმდებლო სისტემა შედარებულ იქნა სამოქალაქო სასამართლის მიმართულებით არსებულ ევროპის მოწინავე ქვეყანათა საკანონმდებლო სისტემებთან. (მტკიცებულებებთან დაკავშირებით განხილულია ინგლისის, აშშ-ს, საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთის და სხვა ქვეყნების კანონმდებლობა)

ნაშრომში გამოყენებულია როგორც ქართულენოვანი ლიტერატურა ასევე უცხოური. პრობლემების უკეთ წარმოსაჩენად გამოყენებულ იქნა, სასამართლო პრაქტიკა (გაკეთებული არის შედარებები სხვადასხვა რაიონულ საქალაქო სასამართლოებს შორის არსებულ განსხვავებულ პრაქტიკულ მიდგომებთან დაკავშირებით), სასამართლო რეკომენდაციები, საჯარო ინფორმაცია და სტატისტიკური ანალიზის სახით მოპოვებული მასალა.

ნაშრომში ცალკე თავებად არის განხილული საქმის მომზადების სტადია და მისი მნიშვნელობა, სასამართლოს მიერ საქმის მომზადების მიზნით შესასრულებელი მოქმედებები, რომლებიც ასევე არის ქვეთავების სახით მოცემული. ცალკე თავად არის გამოყოფილი შესაგებელი და შეგებებული სარჩელი. მართალია ეს უშუალოდ მხარის მიერ შესასრულებელ მოქმედებას გულისხმობს, თუმცა მისი შეუსრულებლობა

თუ შესრულება თავისთავად იწვევს ისევ სასამართლოს მოქმედების განხორციელებას საქმის მომზადების მიზნით. ცალკე თავად არის გამოყოფილი სასამართლო მტკიცება და მტკიცებულებები.

საბოლოოდ თემა შედგება 8 თავისგან.

რაც შეეხება კვლევის მიზანს, აღიშნულს წარმოადგენს სასამართლოს მიერ საქმის მომზადებასთან დაკავშირებით პრობლემების უკეთ დანახვა, გაანალიზება და რეკომენდაციების შემუშავება პრობლემების აღოსაფხვრელად.

აღსანიშნავია რომ, სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებიდან გამომდინარე, სასამართლოში საქმისწარმოება გრძელდება გაცილებით დიდხანს, ვიდრე ამას კანონმდებლობა ითვალისწინებს. მხარის დარღვეულ უფლების აღდგენას სჭირდება არათუ 5 თვიანი მაქსიმალური ვადის პერიოდი, არამედ წლებიც კი. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზებზე ნაშრომში მკაფიოდ არის გადმოცემული მოსაზრებები და რეკომენდაციები.

ვფიქრობ, კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, რამეთუ ამართლებს წინამდებარე კვლევისას დასახულ მიზანს: რაც შეიძლება უკეთ იქნეს მომზადებული საქმე და მხარის ინტერესი, დროულად აღიდგინოს დარღვეული თუ სადაოდ ქცეული უფლება, ისე იქნეს მიღწეული, რომ ამით ზიანი არ მიადგეთ პროცესში მონაწილე სუბიექტებს.

ძირითადი საკვლევითი საკითხები და ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა;

შესავალი

§ I. საქმის მომზადების სტადიის არსი და მნიშვნელობა

თავი I.I. საქმის მომზადების მიზნით სასამართლოს მიერ

შესასრულებელი მოქმედებების შინაარსი

თავი I.II სასამართლო შეტყობინება და დაბარება

თავი I.III სასამართლოს მიერ საზღვარგარეთ მყოფ ფიზიკურ პირთა და ორგანიზაციებისათვის საქმის განხილვის შეტყობინების თავისებურებანი

§ II. შესაგებელი და შეგებებული სარჩელი საქართველოს სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის მიხედვით

§ III. მოსამზადებელი სხდომის დანიშვნა

თავი III.I . სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის დანიშვნის წესი

§ IV. სასამართლო მტკიცება და მტკიცებულებები (მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალწარმოებაში და შედარებით სამართლებრივი ანალიზი)

ლიტერატურის მიმოხილვა

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

## ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა :

ქართული

ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2005 წ.

ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2015 წელი

კობახიძე ა., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2003 წ.

ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში., ნაწილი I, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2002 წ.

ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ. ხრუსტალი ვ. ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2014 წ.

ხოფერია ნ.მტკიცებულებათა თეორია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თენგილ ლილუაშვილის საიუბელიო კრებულიდან. გამომცემლობა „ჯისიაი“.

ლილუაშვილი გ., სამოქალაქო საქმეებზე ამერიკის მტკიცებულებითი სამართალი, „სამეცნიერო შრომების კრებული“, თბილისი, 2010 წ.

ლორთქიფანიძე ლ., სასამართლო მტკიცებულებების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი სამოქალაქო პროცესში, სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“ N5 (7), თბილისი, 2011 წ.

ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მე-2 გამოცემა, 2007 წ.

ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2007 წ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი 2007 წლის 25 ივლისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის. თბილისი, 2010 წლის დეკემბერი.

**უცხო ენოვანი ლიტერატურა:**

Field R ; Kaplan B. Materials for e basic Course of Civil procedure. New York, 1973.

Roger C. Park, David P. Leonard, Steven H. Colberg, Evidence Law, 2008.

Например: Козлов А.С. Понятие и признаки судебных доказательств в советском гражданском процессе: Автореф. дис.... канд. юрид. наук. М., 1978. С. 14; Треушников М. К. Судебные доказательства. М., 1998. С. 80; и др.

Dr. Hein Bolling Peter Luttringhaus. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი. SYSTEMATISCHE DARSTELLUNG EINZELNER ANSPRUCHSGRUNDLAGEN DES GEORGISCHEN ZIVILGESTZBUCHES. Bremen – Tbilisi 2004-2009.

Гражданское процессуальное право России / Под редакцией профессора П.В. Алексия, профессора Н.Д. Амаглобели // Закон и правую Мослва, . 2005.

ZPO, № 372-455, Гражданское Процессуальное Уложение Германии, перевод с немецкого, М, 2006.

Teeven M. K, A History of The Anglo – American Common Law of Contract, New-York, London , ( Series Editor –Murphy P, L, Number 59), First published in USA in 1990.

## **კანონმდებლობა:**

საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 1995 წელი, მოქმედი ცვლილებებითა და დამატებებით

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997 წელი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1997 წელი, მოქმედი ცვლილებებითა და დამატებებით

ბავშვთა უფლებების ევროპული კონვენცია, 1989 წელი

2011 წლის 28 დეკემბრის კანონი N5667 საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

## **სასამართლო გადაწყვეტილებები**

სუსგ. 2015 წლის 04 მაისი. სამოქალაქო საქმე N ას-1155-1101-2014.

სუსგ. 2016 წლის 17 მარტი. სამოქალაქო საქმე N ას-121-117-2016.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 07 ოქტომბრის განცინება, სამოქალაქო საქმე N 2ბ/6800-13.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 09 ივნისის განჩინება, საქმე N 2ბ/553-2014.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 09 მარტის განჩინება, საქმე N 2ბ/5649-2015.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 09 მარტის განჩინება, საქმე N 28/5108-2015.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე N 2/12369-2015.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 04 ნოემბრის განჩინება საქმე N 2/23240-19.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება BVerfGE 34, 238 (246f).

**ვებ-გვერდის მისამართები:**

<https://tcc.court.ge/> 2020 წლის 23 აპრილის მდგომარეობით

[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge) 2020 წლის 23 აპრილის მდგომარეობით

<https://matsne.gov.ge/ka> 2020 წლის 23 აპრილის მდგომარეობით

[www.elsevier.com](http://www.elsevier.com) 2020 წლის 23 აპრილის მდგომარეობით

**საჯარო ინფორმაცია:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი N2-0151/3724357-37243594

თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი N2-0177/1898665

## Resume

The subject matter of the research is activities that a court must carry out in order to prepare a case. The topic itself is of crucial importance since there are many occasions, which obstruct the swift and effective administration of justice.

In the process of investigating this issue, we have studied, in detail, the goal and significance of the phase in which the case is prepared, and the nature of the actions to be accomplished by the court, in this regard, on the legislative level, as well as from the practical standpoint. In the course of working on this research, the legislative system of Georgia has been compared to the existing legislative acts of the leading European countries in the field of civil law. (With respect to providing evidence, we have reviewed the legislation of England, the USA, Germany, Russia, France and the other countries).

The following work incorporates Georgian and foreign literature. In view of better presenting the problem, we have used court practices (there are certain comparisons made regarding different practical approaches that exist between the district and city courts), recommendations, public information and material in the form of statistical analysis.

There are separate sub-chapters in the work that specifically deal with the stage of case preparation and its importance, those activities that a court must undertake to prepare for a case, are further analyzed in the subsequent sub-chapters too. A special chapter has been assigned to the issues of answer and counterclaim. Admittedly, it denotes an action that is carried out by a suitor, although its fulfillment or the opposite, in itself, prompts the court to take steps toward preparing the case. We have created a separate chapter for the court claims and evidence, taking into consideration the fact that they constitute one of the main components of a trial. In total, the research contains eight chapters.

As regards the purpose of the research, its aim is to better analyze those problems which are connected to the process of case preparation on the part of a court, and subsequently, to come up with recommendations on how to solve the problems.

The results of the work are significant as they justify the goal that was set during this research. These are procedures toward preparing a case and defending interests of a suitor as best as possible, rights that were violated or became subject of a dispute ought to be restored in good time. This has to be accomplished in such a way that prevents the infliction of damage on any participant of the trial.

## შესავალი

სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიმართულებით იზრდება დამუშავებულ საკითხთა წრე, მიუხედავად ამისა კვლავ ბევრია პრობლემური საკითხები რომლებსაც სჭირდებათ მეცნიერული დამუშავება. სასამართლო პრაქტიკის განვითარება ეხმარება კანონმდებლობის დახვეწას და ასწორებს კანონის ნაკლს. ხშირია სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები, რაც მეტად საინტერესოს ხდის სამართალს და განსაკუთრებით სამოქალაქო საპროცესო სამართალს.

„როდესაც საზოგადოება რთულდება, იქმნება წესების შეცვლის საჭიროება, რათა მოხდეს გადაწყვეტილებების მიღება მათ დარღვევასთან დაკავშირებით და გარკვევა იმისა თუ რომელი წესია მართლაც სავალდებულო წესი.“<sup>1</sup> სამოქალაქო ბრუნვის განვითარებამ გამოიწვია სამოქალაქო ბრუნვის გაზრდა და სამოქალაქო დავების სიმრავლე. პრობლემებთან ერთად იმრავლა კარგად დასაბუთებულმა სასამართლო გადაწყვეტილებებმა. სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად ნათლად ჩანს, რომ საქმის მომზადების ეტაპი, ეს ის ეტაპია როდესაც მოსამართლე, მხარეები და მესამე პირები ყველაზე მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებენ, რათა მოსამართლემ სწორი გადაწყვეტილება გამოიტანოს, ხოლო მხარეებმა სასურველ შედეგს მიაღწიონ.

საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებამდე სამოქალაქო სამართალწარმოება მიმდინარეობდა ინკვიზიციურობის პრინციპზე დაყრდნობით. 1922, 1932, და 1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსები აგებული იყო ინკვიზიციურობის პრინციპზე. რომლის მიხედვითაც სასამართლო ვალდებული იყო, მიეღო კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა სრულად და ობიექტურად გამოერკვია საქმის გარემოებები და მიეღო სამართლებრივად სწორი გადაწყვეტილება. 1997 წლის ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით ჩანაცვლებულ იქნა ინკვიზიციურობის პრინციპი დისპოზიციურობის

---

<sup>1</sup> რეიმონ უექსი, სამართლის ფილოსოფია, მალიან მოკლე შესავალი, თბილისი, 2012

პრინციპით, რომლის მიხედვითაც სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულ იქნა საქმეში მონაწილე მხარეების აქტუალურობაზე და ინიციატივაზე. მხარეების მიერ შესრულებული თითოეული საპროცესო მოქმედება რომელიც მათ მინიჭებული აქვთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, გავლენას ახდეს სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, ხოლო მოსამართლო ახალი პრინციპის მიხედვით, როგორც წესი გამოდის პასიური არბიტრის როლში.

ნაშრომში განხილულია და გაანალიზებულია სასამართლოს მიერ საქმის მომზადების მიზნით შესასრულებელი მოქმედებები, მათი მნიშვნელობა და შედეგი სამოქალაქო სამართალწარმოებაში. აღნიშნული მოქმედებების დროულად შესრულება თავისი შინაარსით გულისხმობს სწრაფ და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას. საქმის მომზადების სტადია არის მხარის ინტერესი - რაც შეიძლება დროის უმოკლეს პერიოდში მოხდეს საქმის განსახილველად მომზადება და შემდგომ გადაწყვეტილების გამოტანა ისე, რომ არ მოხდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ინტერესების ხელყოფა.

სამოქალაქო სამართალწარმოება შეიძლება დაიყოს ორ ეტაპად: პირველი ეტაპი - ეს არის საქმის მომზადება მთავარ სხდომაზე განსახილველად, რომელსაც შეიძლება ასევე ეწოდოს მხარეთა წერილობითი შეჯიბრება, და მეორე ეტაპი - საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რომელსაც შეიძლება ეწოდოს მხარეთა ზეპირი შეჯიბრება. აღნიშნული ნაშრომის განხილვის საგანი იქნება პირველი ეტაპი. თითოეულ ეტაპს აქვს თავისი და მისთვის დამახასიათებელი მიზნები და ამოცანები, რომელთა გათვალისწინებითაც გათვალისწინებულია საპროცესო მოქმედებები, რაც კონკრეტულ ეტაპზე უნდა შესრულდეს. „საპროცესო მოქმედებათა შესრულების გადატანა ერთი ეტაპიდან მეორეზე დაუშვებელია, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა და პირობებისა.“<sup>2</sup>

---

<sup>2</sup> ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა. გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2005 წელი, გვ.324.

„პირველი ეტაპი - საქმის მომზადება მთავარ სხდომაზე განსახილველად, მთავდრება განჩნებით მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ“.<sup>3</sup> საკითხები რომლებიც შეიძლება და უნდა განხილულიყო საქმის წინასწარი მომზადების (პირველ ეტაპზე) სტადიაზე, აღარ შეიძლება აღიძრას ამ საქმის არსებითად განხილვის დროს (მეორე ეტაპზე). იმისათვის რომ საქმის არსებითად განხილვის დროს განხილულ იქნეს ის შუამდგომლობები რომელიც უნდა აღძრულიყო პირველ ეტაპზე უნდა იყოს გამართლებული იმ ობიექტური გარემოებებით რომელიც იძლევა აღნიშნულის საშუალებებს, მტკიცების ტვირთი ამ შემთხვევაში ეკისრება შუამდგომლობის ამდგურელ პირს.

საქმის მომზადების ეტაპი უნდა გაიაროს უკლებრივ ყველა საქმემ, მიუხედავად იმისა მარტივია თუ რთული საქმე, მომზადების ეტაპზე სასამართლო განსაზღვრავს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების წრეს, რომელზედაც მხარეები ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებს და შესაგებელს. მსგავსი მიდგომით ხასიათდება რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

სამოქალაქო სამართალში მატერიალურ-სამართლებრივი ნორმები განსაზღვრავენ იმ ფაქტობრივ წინაპირობებს, რაც საჭიროა გარკვეული მოთხოვნის საფუძვლის შექმნისთვის, ხოლო პროცესუალურ საშუალებებს, მტკიცებულებათა სახეებს და მსგავს საკითხებს არეგულირებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

სასამართლოს მთავარ სხდომამდე საქმის განსახილველად მომზადება, დამაკავშირებელი რგოლია საქმის აღძვრასა და მის არსებითად განხილვას შორის.

„საქმის მომზადების სტადიის მიზანია, უზრუნველყოს საქმის დროულად და სწორად განხილვა და გადაწყვეტა, ანუ შექმნას ამისთვის აუცილებელი პირობები. ამასთან სასურველია, რომ პირველ სასამართლო სხდომაზევე გადაწყდეს საქმე.“<sup>4</sup>

<sup>3</sup> ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში. ნაწილი I, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი 2002 წელი, გვ.16.

<sup>4</sup> ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 20015 წელი, გვ.410.

„მოსამართლეს მხოლოდ მაშინ შეუძლია „სამართლის“ დაღაღება, თუ მისი გადაწყვეტილება კანონიდან გამომდინარეობს. მოსამართლის ყოველი გადაწყვეტილება და განსაკუთრებით კი სასამართლოსი აუცილებლად სამართლებრივ საფუძველს უნდა ეყრდნობოდეს, რომელსაც მოთხოვნის უფლებათა სფეროში „მოთხოვნის საფუძველი“ ეწოდება.“<sup>5</sup> მოთხოვნის საფუძვლის გარკვევა სწორედ მოსამზადებელ ეტაპზე არის შესაძლებელი. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საქმის მომზადების სტადიაზე სასამართლო არსებითად აზუსტებს და განსაზღვრავს ფაქტების წრეს, რომლებზეც მხარეები ამყარებენ თავიანთ მოთხოვნას და შესაგებელს. საქმის მომზადების მიზნით სასამართლოს მიერ შესასრულებელი მოქმედებები უნდა იყოს იმდენად დახვეწილი და ეფექტური, რომ დაინტერესებული მხარის მოთხოვნა, სამართლებრივი ინტერესი რაც შეიძლება დროის უმოკლეს პერიოდში იქნეს გათვალისწინებული.

ნაშრომის მიზანია დაგვანახოს რამდენად ეფექტურად ხდება ქართულ სასამართლოში სამოქალაქო საქმეების წინასწარი მომზადება, რა დამაბრკოლებელი გარემოებები არსებობს, რომ საქმე გადაწყდეს სწრაფად და ხარისხიანად და როგორ შეიძლება აღნიშნული გარემოებები თავიდან იქნეს აცილებული.

---

<sup>5</sup> Dr. Hein bolling peter luttringhaus. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი. SYSTEMATISCHE DARSTELLUNG EINZELNER ANSPRUCHSGRUNDLAGEN DES GEORGISHEN ZIVILGESTZBUCHES. Bremen – Tbilisi 2004-2009. P.14

## თავი I. საქმის მომზადების სტადიის არსი და მნიშვნელობა

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის შინაარსი გულისხმობს სასამართლო წესით დარღვეული უფლების სასამართლო წესით აღდგენას, ანუ დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანას და აღსრულებას. სასამართლო მიზნის მიღწევას გარკვეული ეტაპების და პროცედურების გავლის შემდეგ ახერხებს, თანაც ეს სწრაფად და ეფექტურად უნდა განხორციელდეს. პროცესის სტადია იწყება მას შემდეგ როდესაც სასამართლო ხუთდღიანი ვადის დაცვით წარმოებაში მიიღებს სარჩელს.(არაუადრეს 5 და არაუგვიანეს 14 დღისა). აღნიშნული ვადის ათვლა იწყება მოსამართლესთვის სარჩელის გადაცემის მომენტიდან. ვადაში მოსამართლემ ან უნდა მიიღოს სარჩელი წარმოებაში, რომელიც მოსარჩელეს უნდა ეცნობოს შეტყობინებით, ან უარი უნდა ეთქვას განჩინებით სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. შესაბამისად, მას შემდეგ რაც სარჩელი წარმოებაში მიიღება იწყება მისი განხილვისათვის წინასწარი მომზადება. ყოველივე ზემოთ თქმული ეხმარება მოსამართლეს დროულად შეისწავლოს და გადაწყვიტოს სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი. საქმის მომზადების სტადია იწყება ხუთ დღიანი ვადის გასვლის შემდეგ. (სსსკ-ს 184-ე მუხლი.)

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ იძლევა კონკრეტულ განმარტებას თუ რამდენი ხანი გრძელდება საქმის მომზადების პერიოდი, თუ რა ვადაში უნდა მომზადდეს საქმე სასამართლოს მიერ. საქმის მომზადების პერიოდი გრძელდება სასამართლოს მიერ მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ განჩინების გამოტანამდე. მოსამართლემ სანამ დანიშნავს მთავარ სხდომას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ის გონივრული ვადა რა ვადაშიც მხარეებმა შეძლონ ზეპირო შეჯიბრებითობისთვის მომზადება. (სსსკ-ს 207-ე მუხლი). „საქმის მომზადება არის მომსამართლის ან მისი თანაშემწის მიერ

მიღებული ზომებისა და განკარგულებების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია ამ საქმის დროული და სწრაფი გადაწყვეტისაკენ.“<sup>6</sup>

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-200-ე მუხლი ადგენს საქმის მომზადების მიზანს, საქმის განხილვის დაჩქარებას ისე, რომ შესაძლებელი გახდეს ერთ სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის დამთავრება და საქმის სწორად გადაწყვეტა.

საქმე შეიძლება მომზადებულ იქნეს მოსამართლის თანაშემწის მიერ, რასაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს. პრაქტიკაში საქმის მომზადებას, ძირითადად, მოსამართლის შემადგენლობა უზრუნველყოფს. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ არ შეფერხდეს საქმის განხილვის მსვლელობა და დროულად იქნეს საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა, რათა მხარეებმა დროულად აღიდგინონ დარღვეული უფლებები.

„სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის მიზანი ისიცაა, რომ სასამართლომ გაარკვიოს ხომ არ არის რაიმე ისეთი საფუძველი, რაც სასამართლოს საშუალებას მისცემს უფრო სწრაფად დაამთავროს საქმე, საერთოდ შეწყვიტოს ამ საქმის წარმოება ანდა განუხილველად დატოვოს განცხადება.“<sup>7</sup>

სამწუხაროდ ხშირია შემთხვევები, როდესაც საქმის მომზადების ეტაპზე მოსაგვარებელი საკითხისადმი სასამართლოს მხრიდან არასათანადო გულისხმიერებით მიდგომის გამო ხდება მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევები.

თუ არ დაუყენებიათ სარჩელის არძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის საკითხი, მსჯელობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ხდება მოსამზადებელ ეტაპზე.

მეტი თვალსაჩინოებისათვის, მაგალითის საქხით, ნაშრომში განვიხილავ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამქეთა კოლეგიის მიერ 2017 წლის 10 თებერვალს მიღებული განჩინება სარჩელის აღძვრამდე მისი

---

<sup>6</sup> კობახიძე ა., სამოქალაქო საპროცესო სამართალი. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი 2003 წელი, გვ.305.

<sup>7</sup> კობახიძე ა., სამოქალაქო საპროცესო სამართალი. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი 2003 წელი, გვ.306.

უზრუნველყოფის თაობაზე განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. შუამდგომლობის ამდგომელ მხარეს სასამართლოს მხრიდან უარი ეთქვა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე იმ მოტივით, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა მითითებული სამომავლო სარჩელის ფასი. განჩინებაში ნათქვამია: „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, დავის საგნის ფასს მიუთითებს მოსარჩელე. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სადავო საგნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება იმ დროს არსებული ფასები, როდესაც შეტანილ იქნა სარჩელი, ხოლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისას საჩივრის შეტანის დროისათვის არსებული ფასები. განცხადებაში, .... არ მიუთითებს სამომავლო სარჩელის ფასს.“<sup>8</sup>

უზრუნველყოფის შუამდგომლობის ამდგომელ პირს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აძლევს იმის უფლებას, რომ განცხადების დაკმაყოფილებიდან 10 დღის ვადაში შეიტანოს სარჩელი სასამართლოში. სასამართლოს არასწორმა ნაბიჯმა შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ფასის დაზუსტების დროისათვის ქონება სხვა პირის ხელში აღოჩნდეს, რომელიც იქნება კეთილსინდისიერი შემძენი. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიყენებული ზიანი უფრო მძიმე აღოჩნდეს, ვიდრე სამომავლო სარჩელის ფასის დაზუსტების საკითხი განცხადების შეტანის ეტაპზე სასამართლოსთვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მხარეს ანიჭებს მთელ რიგ პროცესუალური საშუალებების გამოყენების საშუალებას, რომელიც მხარეს შესაძლებლობას შეიქმნას უფლების დაცვის გარკვეული გარანტიები. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, სასამართლო ვალდებულია გაითვალისწინოს კანონმდებლის მიზანი, სანამ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებს. ხისტი და შაბლონური მიდგომის გარეშე, კანონიერების, თანასწორობის, შეჯიბრებითობის და დისპოზიციურობის პრინციპის დაცვით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ.

---

<sup>8</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2017 წლის 10 თებერვალს გამოტანილი განჩინება. განცხადების ნომერი 2-154/1862402.

აღნიშნულ თემაზე მსჯელობისას ვფიქრობ მიზანშეწონილია კიდევ ერთი მაგალითის მოყვანა, მაგალითად 2016 წლის 26 დეკემბრის განჩინება, სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ. კონკრეტული შემთხვევიდან სარჩელს არ ერთვოდა ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, რომელითაც დასტურდებოდა მოპასუხის საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე. "სარჩელს არ ერთვის მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი. განჩინებაში აღნიშნულია : „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-4.3 მუხლის თანახმად, მეწარმე სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. მეწარმე სუბიექტის არსებობა დგინდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. იმავე კანონის მე-7.1. მუხლის თანახმად, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში აღრიცხული მონაცემები საჯაროა. ამიტომ, მოსარჩელემ უნდა წარმოადგინოს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.”<sup>9</sup>

მაგალითიდან ჩანს რომ, სასამართლომ არ მიიღო წარმომბეჭადი საქმე იმის გამო რომ მას არ ერთვოდა მტკიცებულება, რომელიც მოსარჩელეს სასამართლოს მითითებისთანავე შეეძლო წარედგინა. როგორ უნდა მოიქცეს ამ დროს მოსარჩელე?!

1) გაასაჩივროს სასამართლოს განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატაში კერძო საჩივრით? თუ

2) დაეთანხმოს განჩინებას, დაიბრუნოს მასალები და შემდეგ კი ხელახლა აღძრას სარჩელი სასამართლოში?

მხარისათვის მისაღები ვარიანტია საქმის მასალების დაბრუნება და სასამართლოში სარჩელის ხელახლა აღძვრა, ვიდრე გასაჩივრება, რომელიც დროში წელვადია და შედარებით მეტ რესურსს მოითხოვს. ხშირია ისეთი შემთხვევები როდესაც სასამართლო დაუსაბუთებლად ეუბნება მხარეს

---

<sup>9</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 26 დეკემბრის განჩინება.

უარს, მხარე პროცესის დაჩქარების მიზნით არ ასაჩივრებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, ეთანხმება მას და ხელმეორედ შექავს სარჩელი.

აღსანიშნავია, რომ მტკიცებულებების არ ქონის გამო სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმა დაუშვებელია, რადგაც მტკიცების სტადია საქმის მომზადების ეტაპში არ შედის. როდესაც ფაქტობრივი გარემოებები ხდება სადავო, მაშინ არის საჭირო მტკიცებულებები. როდესაც მხარე სარჩელს არ ურთავს მტკიცებულებებს ეს მისი რისკია, მისი პასუხისმგებლობაა, ამის გამო სასამართლომ მოსარჩელეს არ უნდა უთხრას უარი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. კანონმდებლობა უშვებს ისეთ შემთხვევებს როდესაც ფაქტობრივი გარემოებები მტკიცებულებების გარეშე დადგენილად ითვლება. (შესაგებლის წარმოუდგენლობის დროს).

დაკვირვებიდან გამომდინარე ვფიქრობ, აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზა არის ის რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დაბრუნდეს ისეთი ინსტიტუცი, როგორც იყო ხარვეზის შევსება. აღნიშნულ ინსტიტუტს დღემდე იყენებს ადმინისტრაციული საქმის წარმოება. 2011 წლის 28 დეკემბერის კანონი N 5667 ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის თაობაზე,<sup>10</sup> განსაზღვრულია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსიდან ამოღებულიყო 185-ე მუხლი, რომელიც ხარვეზის შევსებას ითვალისწინებდა.

დასკვნის სახით შეიძლება ითვას, რომ სასამართლოს მხრიდან არასწორმა (არაგულისხმიერმა) მიდგომამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს მხარეებს, რასაც ხარვეზის შევსების ინსტიტუცი უფრო კარგად არეგულირებდა მთელ რიგ პრობლემებს. უსაფუძვლოდ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმით გამოდის, რომ სარჩელი რომელიც ერთხელ უკვე დარეგისტრირდა, გაიარა ფორმალური შემოწმება, დასკანერდა, დაიგრიფა და განაწილდა მოსამართლეზე, რამდენიმე დღეში ხელმეორედ გადის იმავე პროცედურებს. აღნიშნული ზღუდავს სასამართლოსთვის ხელმისაწვდომობის კონსტიტუციურ უფლებას, ხოლო მეორე მხრივ აფერხებს სწრაფ და ეფექტურ მართლმსაჯულებას, რის გამოც

<sup>10</sup> 2011 წლის 28 დეკემბერის კანონი N 5667 საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ, გვ.2.

არარაციონალურად იხარჯება ისედაც გადატვირთული სასამართლოს რესურსი.

საინტერესო საკითხია სასამართლო განსჯადობის პრობლემა საქმის მომზადების ეტაპზე.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად : „ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.“<sup>11</sup>

„პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც, თბილისი საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განსჯადობით მიუთითა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაზე. (დაასაბუთა სსკ-ს 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, რომელიც ითვალისწინებს სარჩელის მიღებაზე უარის თქმას, თუკი სარჩელი სასამართლოს განსჯადი არ არის.“<sup>12</sup>), მხარეს დაუბრინდა სარჩელი და თანდართული დოკუმენტები, რის შედეგადაც მოსარჩელემ მიმართა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომელმაც ისევ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაზე მიუთითა, გამოიტანა განჩინება საქმის განსჯადი სასამართლოსთვის გადაცემის შესახებ, სადაც აღნიშნა, რომ: „სარჩელი ..... მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე გადაეცეს განსჯად თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმეთა კოლეგიას“.<sup>13</sup> გადაეგზავნა მასალები სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომელმაც შემდგომში იმსჯელა სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხზე. აღნიშნულით ზიანი მიადგა მხარეს, რადგან საქმის მომზადების ეტაპზე, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ არასათანადოდ შეისწავლა სარჩელის წარმოებაში მიღებისათვის ერთ-ერთი წინაპირობა, განსჯადობა, რის გამოც გაჭიანურდა მოსარჩელის უფლების დაცვის პროცედურების დწყება.

რაც შეეხება მასალების გაგზავნას, ჩემი აზრით, სასამართლო თვითონ უნდა უგზავნიდეს საქმეს განსჯად სასამართლოს, ისევე, როგორც ამას

<sup>11</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35> საქართველოს კონსტიტუცია 2019 წლის 27 ივნისის მდგომარეობით.

<sup>12</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი N2-0151/3724357-37243594

<sup>13</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი N2-0177/1898665.

ახორციელებს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, სამოქალაქო საქმეთა კოლეგია კი ძალიან იშვიათ შემთხვევაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, „01.01.19-31.12.19 პერიოდში უარი ეთქვა წარმოებაში მიღებაზე განსჯადობის გამო 8201 საქმეს, ხოლო განსჯადობით სასამართლოს გადაეცა 86 საქმე, 01.01.20-31.03.20 პერიოდში უერი ეთქვა წარმოებაში მიღებაზე განსჯადობის გამო 2937 საქმეს, ხოლო განსჯადობით გადაეცა 8 საქმე.“<sup>14</sup> გამომდინარე აქედან ვფიქრობ ამოღებულ უნდა იქნას 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმას განსჯადობის გამო და სასამართლოს უნდა წარმოემვას ვალდებულება თვითონ გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს მასალები. აღნიშნული აღმოფხვრავს ისეთ პრობლემას და პროცესუალურ დარღვევას როგორცაა სამოქალაქო კოლეგიის მიერ ადმინისტრაციულზე მითითება, ადმინისტრაციულის მიერ კი პირიქით, სამოქალაქო კოლეგიაზე და სხვა.

## **თავი I.I. საქმის მომზადების მიზნით სასამართლოს მიერ შესასრულებელი მოქმედებების შინაარსი**

სასამართლოს მიერ საქმის მომზადების მიზნით შესასრულებელი საპროცესო მოქმედებების მოცულობა კონკრეტული საქმის სირთულით განისაზღვრება.

„შესასრულებელი მოქმედებების შინაარსის მიხედვით, საქმეთა მომზადება მოიცავს ყველა მოქმედებას, განცხადების მიღების (საქმის აღძვრის) მომენტიდან სასამართლო განხილვამდე.“<sup>15</sup> საქმის მომზადების სტადიაზე მიმდინარეობს მხარეთა შორის წერილობითი საბუთების გაცვლა, ანუ მიმდინარეობს მხარეთა წერილობითი შეჯიბრი.

<sup>14</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი N2-0151/3724357-37243594

<sup>15</sup> ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2015 წელი, გვ.411.

სსსკ-ს 203-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულია ის საპროცესო მოქმედებები რომლებიც უნდა განახორციელოს სასამართლომ საქმის მომზადების მიზნით:

„1. სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისათვის საქმის მოსამზადებლად მოსამართლეს შეუძლია:

ა) დაავალოს მხარეებს შეავსონ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განმარტონ მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები, წინადადება მისცეს მათ წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები თუ დოკუმენტები;

ბ) გამოითხოვოს მხარეთა თხოვნით მტკიცებულებანი სხვადასხვა დაწესებულებებიდან თუ მოქალაქეებისაგან, რომელთა მიღებაც თავად მხარეებმა ვერ შეძლეს;

გ) გადაწყვიტოს სასამართლო პროცესში მესამე პირებისა და თანამონაწილეების დაშვების საკითხი;

დ) შეამოწმოს მტკიცებულებები, თუ ეს სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას ძნელი იქნება ან გააჭიანურებს საქმის განხილვას;

ე) ჩაატაროს ადგილზე დათვალიერება;

ვ) მისცეს სასამართლო დავალებები;

ზ) მოახდინოს სარჩელის უზრუნველყოფა;

თ) დანიშნოს ექსპერტიზა, გადაწყვიტოს ექსპერტის მოწვევის საკითხი;

ი) გადაწყვიტოს სპეციალისტის მოწვევის საკითხი;

კ) დაიბაროს მოწმეები, აგრეთვე ექსპერტები და სპეციალისტები

სასამართლო სხდომის დღისათვის.”<sup>16</sup>

მოსამართლის მიერ ზემოთ ჩამოთვლილი საპროცესო მოქმედებების ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. სამართალწარმოების სახიდან, საქმის კატეგორიის თავისებურებებიდან და სხვა ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე გამომდინარეობს მოსამართლის მიერ განსახორციელებელი საპროცესო მოქმედებების სახე, მოსამართლე უფლებამოსილია თავისი

---

<sup>16</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=140> 09.06.20 წლის მდგომარეობით.

შეხედულებისამებრ მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული საპროცესო მოქმედების განსახორციელებლად რომელიც მიზნათ ისახავს საქმის დროულად და სწორად გადაწყვეტას.

საქმის მომზადების სტადიაზე მხარეებს არ იბარებენ, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ინიშნება მოსამზადებელი სხდომა, კანონი განსაზღვრავს თუ როდის უნდა დაინიშნოს მოსამზადებელი სხდომა. დღეის მდგომარეობით თითქმის ყველა საქმეზე ინიშნება მოსამზადებელი სხდომა, რაც დარღვევაა და მოუქნელს ხდის მართლმსაჯულებას.

„გარკვეულწილად, მოსამართლის როლი საქმის წარმოების პროცესში სცილდება პასიური არბიტრის ჩარჩოს და გადადის აქტიურ პოზიციაში. აქ უკვე დგება ორი პრინციპის - მხარეთა შეჯიბრებითობისა და სასამართლოს აქტიურობის პროპორციის საკითხი - რა დოზით უნდა მოხდეს მათი შერწყმა და გამოყენება საქმის განხილვისას. პროცესი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, თუმცა, სასამართლოს ჩარევა დასაშვებია იმ მასშტაბით, რითაც არ დაირღვევა დისპოზიციურობის პრინციპი. საკითხი, უნდა გადაწყდეს შეჯიბრებითობისა და სასამართლოს აქტიურობის პრინციპს შორის ზომიერი ბალანსის სასარგებლოდ, რომლის შესაბამისადაც, მხარეები არც შეზღუდული იქნებიან სასამართლოს აქტიურობით და არც დაიჩაგრებიან იმის გამო, რომ სასამართლოს ნეიტრალური და ნომინალური როლი ექნება საქმის გარემოებების გამოკვლევაში.“<sup>17</sup>

ყურადღება არის გასამახვილებელი იმ შემთხვევაზე, როდესაც მოსარჩელე ზრდის სასარჩელო მოთხოვნას როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე. თავიდან ხომ არ იწყება ამ ნაწილში საქმის მომზადება?! აღსანიშნავია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ერთგვარი პრაქტიკა არ არსებობს, რის გამოც იმეტეს შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება პრაქტიკაში ხდება განცხადების ფორმით. თუ სასამართლო განცხადებას რომლითაც მოთხოვნა არის დაზუსტებული მიზანშეწონილად მიიჩნევს, აისახება საბოლოო გადაწყვეტილებაში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო არ იზიარებს მხარის შუამდგომლობას, უარის თქმას აფიქსირებს განჩინებით და

---

<sup>17</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმე N28/550-14

დასაბუთებაში უთითებს სსსკ-ს 177-ე მუხლს - მოთხოვნის ფორმის დაცვასთან დაკავშირებით.

ვფიქრობ, მოთხოვნის გაზრდის შესახებ შუამდგომლობა უნდა იქნეს სასამართლოსთვის მიწოდებული დაზუსტებული სარჩელის სახით და არა განცხადების ფორმით. სწორი იქნება თუ სასამართლო აღნიშულ საკითხზე განცხადების ფორმით დაყენებულ შუამდგომლობას, იქნება ეს საფუძვლიანი თუ არა, არ გაითვალისწინებს და თავიდანვე მიუთითებს მხარეს ფორმის დაცვის თაობაზე. ძირითადად, მოთხოვნის გაზრდა, მითუმეტეს თუკი ეს სასარჩელო მოთხოვნის ფასს შეეხება, ახდენს როგორც სახელმწიფო ბაჟთან დაკავშირებით სხვაობის ჩვენებას, ასევე ქმნის მეორე მხარის ინფორმირების პრობლემას. მოთხოვნის გაზრდა იწვევს მოსარჩელის მხრიდან სახელმწიფო ბაჟის გადახდა იმის პროპორციულად თუ რამდენით გაიზარდა სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ უნდა წარმოუადგინოს მოთხოვნის გაზრდასთან დაკავშირებით თავისი პასუხი, ანუ შესაგებელი. მთელ რიგ შემთხვევებში სასამართლო ერთ შემთხვევაში აკმაყოფილებს განცხადებას, ხოლო მეორე შემთხვევაში უარს ეუბნება მხარეს ფორმის დაუცველობის გამო. ვფიქრობ, სასამართლოს უნდა ქონდეს ერთგვაროვანი მიდგომა ამ საკითხის მიმართ, ეს მიდგომა შეიძლება იყოს ხარვეზის შევსების ინსტიტუტის გამოყენება, მხარეს განესაზღვრება ვადა რა ვადაშიც იგი დაზუსტებულ სარჩელს წარმოადგენს, ვადის დარღვევის შემთხვევაში კი უარს ეტყვის განცხადების განხილვაზე ფორმადაუცველობის გამო.

დღეს ბევრი იურისტი აწყდება ისეთ პრობლემას რომლის პასუხიც არ გამომდინარეობს არც სასამართლოს პრაქტიკიდან და არც ნორმატიულად არის მოწესრიგებული, აღნიშულ პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფო ბაჟის ქვითრის დედანის წარდგენა, რომელსაც მოსამართლე ამოწმებს საქმის მომზადების მიზნით.

სახელმწიფო ბაჟი წარმოადგენს სასამართლო ხარჯს, რომელიც გადასახდელად სავალდებულოა, თუმცა დაშვებულია საგამონაკლისო წესი რომელიც მთელ რიგ შემთხვევებში ათავისუფლებს მხარეებს ბაჟის გადახდისაგან.

ნაშრომის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ სარჩელის ფორმალურ დასაშვებობას ამოწმებს კანცელარია, ხოლო შინაარსობრივ ნაწილს მოსამართლე. ფორმალური დასაშვებობის დროს კანცელარია არ მიიღებს სარჩელს თუ სარჩელს არ ერთვის სახელმწიფო ბაჟის ქვითარი, აღნიშნულზე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლი „სარჩელის (განცხადების) სასამართლოში შეტანისას სასამართლოს კანცელარია ახდენს სარჩელის (განცხადების) რეგისტრაციას და, თუ სარჩელი (განცხადება) შეაქვს იურიდიულ პირს, ინდივიდუალურ მეწარმეს, ადვოკატს ან წარმომადგენელს (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა), ან თუ სარჩელი (განცხადება) შეიტანება იურიდიული პირის წინააღმდეგ, მოსარჩელეს (წარმომადგენელს) გადასცემს გზავნილს (სარჩელის (განცხადების) და თანდართული დოკუმენტების ასლებს) მოპასუხისათვის ჩასაბარებლად. სარჩელი (განცხადება) არ რეგისტრირდება, თუ იგი არ აკმაყოფილებს შემდეგ ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მოთხოვნებს: გ) არ ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი) (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შუამდგომლობების გრაფაში მითითებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი გადახდის გადავადების ან მისი ოდენობის შემცირების შესახებ შუამდგომლობა);”<sup>18</sup>.

განსახილველ პრობლემას წარმოადგენს ბაჟის ქვითრის ნამდვილობის დადგენა სასამართლოს მხრიდან. მთელ რიგ შემთხვევებში მოსარჩელის მიერ ბაჟი გადახდილ იქნა ინტერნეტბანკით, დაამოწმებინა ბანკის თანამშრომელს სველი ბეჭდით, ბაჟი გადახდილ იქნა ინტერნეტბანკით და არ მოხდა მისი დამოწმება სველი ბეჭდით, ბაჟი გადახდილ იქნა ფეიბოქსით, რაც არ ჩათვალა სასამართლომ კანონით დადგენილი წესით გადახდილად. თბილისის საქალაქო სასამართლო არ ახდენს აღნიშნულის სტატისტიკურ აღრიცხვა/დამუშავებას და საჯარო მონაცემთა ბაზაში განთავსებას, თუმცა მეტი თვალსაჩინოებისათვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში სააპელაციო სასამართლო მიუთითებს: „იმავე კოდექსის 178-

<sup>18</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=141> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 2019 წლის 27 ივნისის მდგომარეობით.

ე მუხლის მე-21 ნაწილის თანახმად, სარჩელს უნდა ერთოდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი). შესაბამისად, კანონი იმპერატიულად ადგენს, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი წარმოდგენილი უნდა იქნეს დედნის სახით.

განსახილველ შემთხვევაში, აპელანტის მიერ წარმოდგენილი ქვითარი ვერ იქნება მიჩნეული კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟის ქვითრის დედნად, ვინაიდან არ დგინდება ტრანზაქციის საერთო სასამართლოების ანგარიშზე განხორციელების ფაქტი.<sup>19</sup>

აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლომ დაუდგინა მხარეს ხარვეზი, გამოსასწორებლად. თუმცა სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა არ აქვს, რადგან ბევრი მოსამართლე წარმოდგენილ ბაჟის ქვითრებს თვლის კანონით დადგენილი წესით წარმოდგენილ ქვითრებად.

საზოგადოება ვითარდება, სამართალი მაშინ არის ეფექტური როდესაც საზოგადოებაში მოქმედებს. დღეის მდგომარეობით პრაქტიკოსი იურისტებისათვის კომფორტული იქნებოდა სასამართლოს დაედგინა პრაქტიკა ელექტრონულად გადახდილ ბაჟის ქვითრებთან დაკავშირებით. ხარვეზის დადგენა, ვფიქრობ წელავს სასამართლოს წესით უფლების დაცვას.

## თავი I.II. სასამართლო შეტყობინება და დაბარება

საქმის მომზადების მიზნით შესასრულებელ მოქმედებათა სიაში შედის სასამართლო დაბარება და სასამართლო შეტყობინება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 თავი ეხება სასამართლო დაბარებას და შეტყობინებას.

---

<sup>19</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 05 დეკემბრის განჩინება, საქმე N28/5517-19.

ტერმინი შეტყობინება გამოიყენება მხარეებისა და მათი წარმომადგენლების მიმართ, ხოლო დაბარება კი მოწმეების, სპეციალისტების, ექსპერტების და თარჯიმნების მიმართ.

შეტყობინების და დაბარების ძირითადი ფორმაა უწყება. უწყება შეიცავს კანონით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს, რომელიც სრულად არის ჩამოთვლილი სსსკ-ს 72-ე მუხლში.

სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, ხდება სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების მეორე მხარისთვის გაგზავნა, უწყების გაგზავნის წესებს ქართული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა საკმაოდ კარგად აწესრიგებს, თუმცა არსებობს სხვაობები სხვა ქვეყნის კანონმდებლობასთან შედარებით.

აშშ-ს კანონმდებლობით, კერძოდ კალიფორნიის შტატის მიხედვით, უწყების გაგზავნის საშუალებაა ფოსტა. კალიფორნიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 415.30-ე მუხლის მიხედვით, უწყება შეიძლება გაიგზავნოს ფოსტით, კერძოდ პირველი კლასის ფოსტით (first-class mail) ან სასწრაფო წერილის სახით (airmail), შეკვეთილი წერილით. მათ უნდა ახლდეს უწყების ასლი და კონვერტი, დამოწმებული უწყების უკან გასაგზავნად.<sup>20</sup> უწყების ჩაბარების მითითებული წესი დღეს საკმაოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს. ნიუ-იორკის შტატის სამოქალაქო საპროცესო წესების, კერძოდ 312-ე „ა“ მუხლის მიხედვით, უწყება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

1. უწყების დასათაურება, ანუ მითითება იმის შესახებ თუ ვის უნდა ჩაბარდეს უწყება;
2. უწყების შინაარსი - უწყება და სარჩელი, ან უწყება და შეტყობინება, ანდა პეტიცია მითითება რომ გბარდებათ მოქმედი წესების შესაბამისად;<sup>21</sup>

აღნიშნულზე ჩამბარებელმა ხელი უნდა ამოაწეროს, მიუთითოს თარიღი, დაადასტუროს ამ ფორმის ნაწილი და ფოსტით უნდა გადაუგზავნოს

---

<sup>20</sup> <https://leginfo.legislature.ca.gov/faces/home.xhtml> (კალიფორნიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი)

<sup>21</sup> <https://codes.findlaw.com/ny/civil-practice-law-and-rules/cvp-sect-312-a.html> (ნიუ-იორკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე „ა“ მუხლის კომენტარი).

დასახელებული ფორმა გამომგზავნს 30 დღის ვადაში იმ დღიდან, როდესაც იგი იქნა მიღებული. იმ შემთხვევაში თუ 30 დღის ვადაში არ იქნება დოკუმენტი უკან გამოგზავნილი, მხარემ უნდა აანაზღაუროს უწყების ჩაბარებასთან გაწეული ხარჯები. ასეთი ხარჯების დაკისრება ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით. თუკი მხარე მიიღებს სარჩელს ან განცხადებას, მხოლოდ განცხადების დადასტურება და გამომგზავნთან უკან გაგზავნის შემთხვევაში იგი არ თავისუფლებდა სარჩელზე პასუხის გაცემისაგან ანუ შესაგებელის წარდგენისაგან. პასუხის გაცემის/ შესაგებლის წარდგენის ვადა გავა 20 დღის შედეგ იმ მომენტიდან, როდესაც მხარე ფოსტით უკან გააგზავნის ფორმას.

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, საქმის მასალების გაგზავნის საშუალებად ძირითადად გამოყენებულია ფოსტა, საკურიერო მომსახურება, პოლიციის დავალება ან საჯარო პუბლიკაციის გამოქვეყნების გზით გაცნობა და ჩაბარება. საქართველოს სხვადასხვა სასამართლო სისტემებშიც არის გარკვეული სხვაობები, მაგალითად თბილისის საქალაქო სასამართლო სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების მხარისათვის გაგზავნისას გზავნილი უთითებს მხოლოდ შესაგებლის წარმოდგენის 10 დღიან ვადას, ხოლო ბათუმის და ფოთის საქალაქო სასამართლოების გზავნილზე გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა მითითებულია შემდეგი: „მოსარჩელე ვალდებულია უზრუნველყოს მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარება ფოსტის, სასამართლო კურიერის მეშვეობით ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე ... ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი გზავნილის ჩაბარება დასტურდება ადრესატის მიერ ელექტრონული საშუალებით მიწოდებული დადასტურებით.“<sup>22</sup> დაკვირვებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფოთისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს გზავნილი გაცილებით დაკვეწილია, ვიდრე თბილისის საქალაქო სასამართლოს გზავნილი. ბათუმის და ფოთის საქალაქო სასამართლოს გზავნილში კარგად ჩანს მოსარჩელის მიერ მოპასუხისთვის გზავნილის ჩაბარების თაობაზე, ამიტომ უმჯობესი იქნება, თუკი სხვა სასამართლოებიც გაიზიარებენ ზემოთ განხილულ

---

<sup>22</sup> ფოთის საქალაქო სასამართლოს გზავნილი ერთ-ერთი საქმიდან.

ფორმას. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მასალების გადაგზავნა გაცილებით ნაკლებ დროს მოითხოვს, ასევე იგი მისაღებია მხარეებისათვის ეკონომიურობის თვალსაზრისითაც, ვფიქრობ მისი გამოყენება აქტიურად უნდა განხორციელდეს როგორც მხარეების მხრიდან ასევე სასამართლოების მხრიდან.

საინტერესოა საკითხი, როდესაც სარჩელი გამომდინარეობს ფილიალის საქმიანობიდან. ვის უნდა გაეგზავნოს სასამართლო უწყება?! - აღნიშნულ შემთხვევაში უწყება უნდა გაეგზავნოს მხოლოდ ფილიალს თუ იურიდიულ პირსაც ვის წარმომადგენლობასაც ანხორციელებს ფილიალი?!

ვფიქრობ, უწყება უნდა გაეგზავნოს როგორც ფილიალს თავის მისამართზე ასევე იურიდიულ პირსაც. ფილიალის საქმიანობაზე პასუხისმგებელია იურიდიული პირი, გზავნილის გაგზავნის მართებულებაც სწორედ მისი პასუხისმგებლობიდან გამომდინარეობს, რადგან იურიდიული პირია პასუხისმგებელი ფილიალის საქმიანობაზე იგი უნდა ფლობდეს კიდეც ინფორმაციას აღნიშნულ გზავნილზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 07 ივნისის დადგენილებაში (საჩივარი N28956/05) ნათქვამია, რომ მხარეთა ინფორმირებულობის რა საშუალებაც არ უნდა იქნეს გამოყენებული, მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოებს ხელთ უნდა ჰქონდეთ ადრესატის მიერ გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი საშუალება. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მართლმსაჯულების სწორად განხორციელების ინტერესებისათვის, პროცესის მხარე უნდა იყოს დაბარებული სხდომაზე, რომ მას ჰქონდეს გონივრული ვადა არა მარტო გამოცხადებისათვის, არამედ საქმის მომზადებისათვისაც. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება კარგად ჩანს ქართულ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაშიც, კერძოდ, სსსკ-ს 73-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოსთვის ცნობილი უნდა იყოს ადრესატისთვის გაგზავნილი უწყების ჩაბარების თაობაზე. სასამართლოსთვის ასევე მნიშვნელოვანია ჩაბარების დრო, რადგან კანონი იურიდიულ შედეგებს უკავშირებს.

განსხვავებული სპეციფიკით ხასიათდება უწყების მსჯავდებულისათვის ჩაბარების წესი. მოწებულ შემთხვევაში ადრესატი არის ფიზიკური პირი, რომელიც მოთავსებულია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. მისთვის გაგზავნილი გზავნილი ბარდება შესაბამის დაწესებულებას, რომელიც ვალდებულია ჩააბაროს გზავნილი ადრესატს. ჩაბარების დროს შესაბამისი დაწესებულების უფლებამოსილი პირი აკეთებს უკუგზავნილზე აღნიშვნას, რომ ადრესატმა პირადად ჩაიბარა გზავნილი, ძირითადად დირექტორი აკეთებს შესაბამის აღნიშვნას.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მხარის მიერ წარმოდგენილი სასჯელაღსრულების დაწესებულების უფროსის ხელმოწერითა და შესაბამისი დაწესებულების სველი ბეჭდით დამოწმებული ცნობა, რომელიც მიუთითებს, რომ მსჯავრდებულმა ჩაიბარა შესაბამისი გზავნილი გარკვეულ დღესა და საათზე, ვერ დაადასტურებს სარწმუნოდ მსჯავრდებულის მიერ გზავნილის ჩაბარებას, თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს დაინტერესებული მხარის სასარგებლოდ.

დასკვნის სახით შეიძლება ითვქას, რომ ნებისმიერი საკანონმდებლო აქტი დღევანდელ საზოგადოებაში ეფექტურია და აქვს სიცოცხლის ძალა თუ ის არ ივიწყებს ნორმის „სოციალურ“ ფუნქციას, ანუ საზოგადოების აღქმადობას მის შესასრულებლად სავალდებულო ძალასთან მიმართებით. ნორმის სუბიექტური ნება ამავდროულად უნდა იყოს ობიექტურიც.

## თავი I.III. სასამართლოს მიერ საზღვარგარეთ მყოფ ფიზიკურ

### პირთა და ორგანიზაციებისათვის საქმის განხილვის

#### შეტყობინების თავისებურებანი

კონკრეტული სამართალურთიერთობის მიხედვით, უცხო ქვეყნის სამართალთან დაკავშირებული საქმის სხვადასხვა ფაქტობრივი გარემოება შეიძლება იყოს სახეზე და შეფასდეს როგორც ის „უცხოური ელემენტი“ (სუბიექტი, ობიექტი ან ფაქტი), რომლის არსებობაც განაპირობებს შესაბამისი სამართალურთიერთობის საერთაშორისო ხასიათსა და მის საერთაშორისო კერძო და საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობად კვალიფიცირებას. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს: შესაბამისი ურთიერთობის მონაწილე პირის მოქალაქეობა, საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი; იურიდიული პირის ან ფილიალის შემთხვევაში, მისი 10 განხორციელება საჭიროა უცხო ქვეყანაში. საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთდახმარების სათანადო წესით აღმოჩენა გავლენას ახდენს სასამართლოს მიერ იმ პირებისათვის უფლებების უზრუნველყოფის შესაძლებლობაზე, რომლებიც მონაწილეობენ სამოქალაქო, საოჯახო ან სამეწარმეო საქმეებში.<sup>23</sup>

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – „სკ“) ნორმათა მიხედვით, სამართლებრივი ურთიერთდახმარება გულისხმობს უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ მოქმედებათა განხორციელებას საქმის გარემოებების გამოსაკვლევად, ფაქტების დასადგენად, დოკუმენტების გადაცემის ან/ და სხვა მიზნით.<sup>24</sup>

---

<sup>23</sup> Schack, IZVR, 6. Aufl. Rn. 196; Sengtschmid, Handbuch Internationale Rechtshilfe in Zivilverfahren, 26; Kren Kostkiewicz / Rodriguez, Internationale Rechtshilfe in Zivilsachen, 6

<sup>24</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712?publication=4> „საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, 12.06.20 წლის მდგომარეობით.

საქართველო სამოქალაქო საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ დადებული მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილეა, მაგ. „მინსკის კონვენცია“ სადაც პირველივე თავში საუბარია სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე. სწორედ საქართველოს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით წესრიგდება სასამართლოებისთვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის საკითხი, თუ როგორ უნდა მიმართონ შესაბამის ორგანოებს დასახმარებლად.

სასამართლო, რომელმაც გამოიტანა განჩინება საზღვარგარეთ მყოფი მხარის ინფორმირების შესახებ, საზღვარგარეთ არა თვითონ სასამართლო აგზავნის აღნიშნულს, არამედ საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სასამართლო დავალებებისა და შეტყობინებების მეშვეობით.

დავალებები საზღვარგარეთის სასამართლოებს ეგზავნებათ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით, რომელიც დავალებებს გადაგზავნის „საქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ კონვენციის შესაბამისად.<sup>25</sup> საზღვარგარეთ ჩასაბარებელ დოკუმენტს უნდა ახლდეს თარგმანი იმ სახელმწიფო ენაზე, რომელსაც ეგზავნება შეკითხვა, მიმართვა, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც მიმღები თანახმაა დავალება თარგმნის გარეშე მიიღოს.

თურქეთთან, ბულგარეთთან და საბერძნეთთან დადებული ხელშეკრულებების თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უშუალოდ უკავშირდება მათ ცენტრალურ ორგანოებს. სხვა სახელმწიფოს იუსტიციის ორგანოები სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის მიზნით სხვა სახელმწიფოს უკავშირდება დიპლომატიური წესით.

გზავნილის ჩაბარების წესი განისაზღვრება იმ საერთაშორისო ხელშეკრულების მიხედვით რომლის მონაწილეც არის საქართველო. არის შემთხვევები როდესაც სამართლებრივი დახმარების შესახებ ქვეყნებს

---

<sup>25</sup> <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saqmis-warmoebis-wesi.pdf>  
(საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N466)

შორის არ არის რაიმე მომწესრიგებელი ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში იუსტიციის სამინისტრო მაინც მიმართავს სხვა ქვეყანას სამართლებრივი დახმარების მიზნით, რასაც სასამართლო აკმაყოფილებს მოქალაქეების ინტერესების დაცვისა და უცხო ყვეყანასთან კეთილი ნების გამოჩენის ორმხირვი ინტერესებიდან გამომდინარე.

## **თავი II. შესაგებელი და შეგებებული სარჩელი საქართველოს**

### **სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეები თანაბარი, თანასწორი საპროცესო უფლებებით სარგებლობენ, შესაბამისად მოპასუხესაც აქვს იმის შესაძლებლობა, თავი დაიცვას სარჩელისგან. თავის დაცვა შესაძლებელია როგორც შესაგებლის, ასევე შეგებებული სარჩელის შეტანის გზით. სასამართლო ვალდებულია გადაუგზავნოს მოპასუხეს სარჩელისა და თანდართული მასალები და მისცეს დრო შესაგებლის ან შეგებებული სარჩელის წარდგენისათვის. შესაგებელი მიმართულია სარჩელში მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების წინააღმდეგ და მიზნად ისახავს მხოლოდ მოთხოვნის გაქარწყლებას.

„იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი შესაგებელი მიმართულია პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად, ან შესაგებელში დაყენებულია ცალკე მოთხოვნა, რომლის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ასეთი შესაგებელი უნდა ჩაითვალოს შეგებებულ სარჩელად და მის მიმართ გამოყენებული უნდა იქნას

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე თავით დადგენილი მოთხოვნები.<sup>26</sup>

„მოსამართლე სსსკ-ს 189-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, შეგებებულ სარჩელს მიიღებს წარმოებაში, თუკი:

- ა) მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად;
- ბ) თუკი მისი საკმაყოფილება გამოირიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილებას;
- გ) პირვანდელ და შეგებებულ სარჩელს შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის შემთხვევაში დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდება.<sup>27</sup>

„თუ სარჩელი მაგისტრატი მოსამართლი განსჯადია, ხოლო შეგებებული სარჩელის მაგისტრატი მოსამართლის კომპეტენციას სცილდება, აღძრული სარჩელი შეგებებულ სარჩელთან ერთად განსახილველად რაიონულ (საქალაქო) სასამართლო გადაეცემა.“<sup>28</sup>

შესაგებელი შესამღებელია დავით ორ სახედ: შესაგებელი როგორც პროცესუალურ-სამართლებრივი სახით და შესაგებელი როგორც მატერიალურ-სამართლებრივი სახით.

პროცესუალურ-სამართლებრივი სახით - შესაგებელი გულისხმობს სარჩელის აღძვრისა და პროცესის წარმოების უსაფუძვლობას და არა ზოგადად მოთხოვნის უარყოფას. პროცესუალურ-სამართლებრივი შესაგებლის დროს, მხარე მიუთითებს, რომ არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები, ხოლო, მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებელი გულისხმობს მოთხოვნის არსებითად უარყოფას მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით.

---

<sup>26</sup> ხურცილავა რობიზონ, შესაგებელი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, სამეცნიერო შრომების კრებული. გამომხემლობა - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. თბილისი 2009 წ., გვ.151.

<sup>27</sup> <https://matsne.gov.ge/document/view/29962?publication=141> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 2020 წლის 20 ივლისის მდგომარეობით.

<sup>28</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო. პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის. თბილისი, 2010 წლის დეკემბერი, გვ.34.

როდესაც მოპასუხე მიიღებს სარჩელსა და თანდართულ მასალებს, იგი ვალდებულია კანონით დადგენილ ვადაში, სასამართლოს წარუდგინოს თავისი პასუხი ანუ შესაგებელი, (პრაქტიკიდან გამომდინარე მოპასუხეს ეძლევა ათი დღის ვადა შესაგებლის წარსადგენად), რომელშიც უნდა იყოს მითითებული სასამართლოსა და შესაბამისი კოლეგიის დასახელება, მონაცემები მხარეთა შესახებ, ეთანხმება თუარა სასარჩელი მოთხოვნებს, სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს და სხვა.

„მოპასუხის შესაგებელი უნდა იყოს იმდენად კონკრეტული, რამდენადაც კონკრეტულია მოსარჩელის მოხსენება. ეს ნიშნავს, რომ მოპასუხემ თავისი შესაგებელი უნდა მოარგოს და შეუსაბამოს მოსარჩელის მოხსენების აბსტრაქციის ხარისხსა და დონეს.“<sup>29</sup>

შესაგებლის მიღების შემდეგ, აღნიშნული და მასზე დართული საბუთების ასლები სასამართლოს მეშვეობით ეგზავნება მოსარჩელეს, რომელსაც უფლება აქვს მოსამართლეს წარუდგინოს დამატებითი მტკიცებულებები, აგრეთვე წერილობით აცნობოს მას თავისი მოსაზრებები მოპასუხის წერილობითი პასუხის თაობაზე მიღებიდან ხუთი დღის ვადაში.

აღსანიშნავია, რომ შეგებებული სარჩელის შეტანა არ ათავისუფლებს მოპასუხე მხარეს შესაგებლის წარდგენის მოვალეობისაგან.

სამწუხაროდ, პრაქტიკაში შესაგებლის შეტანის ეტაპზე საკმარისია მატერიალური ფორმით არსებობდეს იგი, სადაც მითითებული იქნება მხარეები, მოსამართლე და შესაგებლის მეორე გვერდზე შესაბამის ადგილას მითითება იმის თაობაზე, ცნობს თუ არა სარჩელს, რაც თავისთავად იმის საფუძველს წარმოადგენს, რომ სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია სასამართლოს მიერ უშუალოდ პროცესზე იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული. ვფიქრობ, აღნიშნული პრაქტიკა დახვეწას საჭიროებს. შესაგებლის რეგისტრაციის მიმართ ისეთივე მოთხოვნები უნდა იქნეს დაწესებული, როგორც ეს სარჩელის რეგისტრაციისას ხდება. სარჩელის დარეგისტრირება არ ხდება, თუკი იგი არ არის ფორმარულად გამართული,

---

<sup>29</sup> შტეფან შმიტი, ჰარალდ რიჰტერი. მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესო სამოქალაქო სამართალში. გამომცემლობა „საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი“. 2013 წ., გვ.19.

კერძოდ, არ არის მითითებული დავის საგანი, არ იკვეთება მოთხოვნა, არ არის განსაზღვრული სარჩელის ფასი და სახელმწიფო ბაჟის ოდენობა. ხშირად შესაგებელში ინფორმაციის მითითება არ ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე მხარე არ იქნეს ინფორმირებული თავის დაცვის მექანიზმებზე, რაც ერთი მხრივ, არღვევს შეჯიბრებითობის პრინციპს, ხოლო მეორე მხრივ აჭიანურებს სასამართლო პროცესს, რადგან მოსამართლეს უშუალოდ სხდომაზე უწევს მსჯელობა დაუშვას თუარა ახალი ფაქტები, მტკიცებულებები და ა.შ. მტკიცებულებების წარდგენის უფლება ერთმება საქმის არსებითი განხილვის დროს, თუმცა ვფიქრობ, მიზანშეწონილი იქნება, თუკი შესაგებლის შეტანის ეტაპზე მოხდება მისი მაქსიმალურად დარეგულირება, რათა დროის უმოკლეს პერიოდში მოხდეს საქმეზე არსებითი გადაწყვეტილების გამოტანა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის რეკომენდაციებში აღიშნულია, რომ სასამართლოში შესაგებლის შეტანისას კანცელარიის მოხელემ (სპეციალისტი), მკაცრად უნდა გააკონტროლოს ფორმულარის სრულყოფილად შევსება. „თუ ფორმულარი სრულყოფილად არ იქნება შევსებული, კანცელარიის უფლებამოსილმა მოხელემ უნდა მისცეს მითითება მისი შევსების თაობაზე და მხარეს ან მის წარმომადგენელს განუმარტოს, რომ ფორმულარში არსებული მონაცემები დაეხმარება სასამართლოს მასთან დაკავშირებაში და მისი უფლებების სწრაფ დაცვაში.“<sup>30</sup> კანცელარიის სპეციალისტის ქმედება არ ნიშნავს შესაგებლის შინაარსობრივ კონტროლს, იგი მხოლოდ მის ფორმალურ დასაშვებობას ამოწმებს.

იმ შემთხვევაში თუ მოპასიხე არ ასრულებს სასამართლოს მითითებებს და არ აგზავნის სასამართლოში წერილობით პასუხის მის წინაშე დასმილ საკითხებზე, ეს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს მხარეებს: მოპასუხემ უკვე იცის ყველაფერი, კერძოდ რას მოითხოვს მისგან მოსარჩელე, რა საფუძველს ემყარება ეს მოთხოვნა და რომელი მტკიცებულებებით აპირებს სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლის დამტკიცებას - დადასტურებას (სსსკ-ს

---

<sup>30</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე, თბილისი, 2007 წელი 25 ივნისი, გვ.49.

177-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული საკითხები), მოსარჩელემ კი არ იცის არაფერი, კერძოდ რა ფაქტობრივ საფუძველს ემყარება მოპასუხის შესაგებელი, რა საშუალებით აპირებს იგი თავის დაიცვას, რომელი მტკიცებულებებით აპირებს ამ შესაგებლის დამტკიცებას და ა.შ. საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მეხუთე პუნქტის თანახმად: „სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.“<sup>31</sup> მოპასუხის ზემოთაღნიშნული ქმედება აშკარად ეწინააღმდეგება კანონის ჩანაწერს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს შესაგებლის წარდგენის ვადას, დადგენილ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში, მოპასუხის მიმართ მიიღება დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით.

მოპასუხის მიმართ შესაგებლის შეტანისათვის დადგენილი ვადის დარღვევის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანოს ვალდებულება მხოლოდ მაშინ აქვს თუკი არსებობს კანონით განსაზღვრული პირობები, კერძოდ 1) მოპასუხე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78 მუხლების შესაბამისად უნდა იყოს ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე. 2) მოპასუხემ უნდა დაარღვის შესაგებლის შეტანისთვის განსაზღვრული ვადა და ასევე სახეზე უნდა იყოს მოთხოვნის იურიდიული მართებულობა.

„შეჯიბრებითობის პრინციპის კონკრეტული გამოვლენაა სსსრკ-ის 232-ე პრიმა მუხლი, რომლის შესაბამისად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ამასთანავე სარჩელი წარმატებულია, თუ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს

---

<sup>31</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35> საქართველოს კონსტიტუცია. 2020 წლის 20 ივლისის მდგომარეობით.

სასარჩელო მოთხოვნას, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-80-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით“<sup>32</sup>

„დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი მიზნად ისახავს სასამართლოს ეფექტურ საქმიანობას, სასამართლო დავების სწრაფად და გაჭიანურების გარეშე გადაწყვეტას, მხარეთა „იძულებას“, განახორციელონ საპროცესო კანონით მინიჭებული უფლებები - საქმის განხილვაში მიიღონ აქტიური მონაწილეობა და ხელი შეუწყონ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანაში. დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი იურიდიული ბუნებით წარმოადგენს სანქციას იმ მხარისთვის, რომელიც არ ცხადდება საქმის განხილვაზე“<sup>33</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებით მხარეთა გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა პირველ და სააპელაციო სასამართლებში კანონით ნებადართულია, რაც შეეხება შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, დასაშვებია პირველი ინსტანციის სასამართლოში.

### **თავი III. მოსამზადებელი სხდომის დანიშვნა**

მხარეთა წერილობითი მასალების მიღების და გაცნობის შემდეგ თუ მოსამართლე სავარაუდოდ მიიჩნევს, რომ შესაძლებელია მოპასუხემ ცნოს სარჩელი ან მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, ანდა შესაძლებელია მხარეთა შორის საქმე მორიგებით დამთავრდეს მოსამართლეს შეუძლია დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა.

---

<sup>32</sup> სუსგ. 2016 წლის 17 მარტი. სამოქალაქო საქმე N ას -121-117-2016. ( N 110210014685600). გვ11.

<sup>33</sup> სუსგ. 2016 წლის 17 მარტი. სამოქალაქო საქმე N ას- 121-117-2016. (N 110210014685600). გვ 12

მოსამართლეს შეუძლია დაინიშნოს მოსამზადებელი სხდომა თუ ის თვლის, რომ აღნიშნული საჭიროა საქმის სათანადოდ მომზადებისათვის.

იმ შემთხვევაში როდესაც მოსარჩელე ითხოვს სარჩელის დაკმაყოფილებას მოპასუხე კი არ ცნობს სარჩელს ხოლო მოსამართლე თვლის რომ საქმე საკმაოდ მომზადებულია განხილვისათვის გამოიტანს განჩინებას ამ საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე არსებითად განხილვისათვის დაინიშნის შესაბამისად. სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვის დღე დაინიშნება იმ ვარაუდით, რომ მხარეებს შესაძლებლობა მიეცეთ სასამართლოზე ზეპირი შეჯიბრებისთვის.

მოსამზადებელი სხდომის დაინიშნის შესაძლებლობას ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ის თავი, რომელიც საქმის მომზადების სტადიას ეხება. მოსამზადებელი სხდომა საქმის მომზადების სავალდებულო ელემენტი არ არის თუმცა მიზანშეწონილია მისი გამოყენება. იმისათვის, რომ დაინიშნოს მოსამზადებელი სხდომა საჭიროა რამდენიმე პირობის არსებობა:

- წარმოდგენილი წერილობითი მასალები მოსამართლეს აძლევს შესაძლებლობას ივარაუდოს, რომ მხარეებმა შეიძლება საქმე მორიგებით დაამთავრონ ან მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, ან მოპასუხემ ცნოს სარჩელი.
- თუ საქმის მომზადების ინტერესი ამას მოითხოვს

მოსამზადებელი სხდომის დაინიშნა მოსამართლის შეხედულებაზეა დამოკიდებული, მოსამართლე უფლებამოსია ხუთი დღის ვადაში დაინიშნოს მოსამზადებელი სხდომა ან მხარეთა სატელეფონო გასაუფრება ან ვიდეო კონფერენცია, რის შესახებაც განჩინების მიღებიდან სამი დღის ვადაში ეცნობებათ მხარეებს. იმ შემთხვევაში თუ არსებობს მხარეთა თანხმობა მოსამართლე უფლებამოსილია მოსამზადებელი სხდომა გადაზარდოს მთავარ სხდომაში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან

„შესაძლებელია არც დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა, მოსამართლემ საქმე საკმაოდ მომზადებულად მიიჩნის და დანიშნოს მთავარი სხდომა“.<sup>34</sup>

აღსანიშნავია, ის რომ საქმის მომზადება არ ხდება ისე როგორც კანონი მოითხოვს. სწორედ ეს არის ყველაზე გავრცელებული საქმის განხილვის და გადაწყვეტის გაჭიანურებისა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსამზადებელი სხდომის მიზანი დამახინჯებულია. აღნიშნული გამოიხატება, რომ საქმის განხილვისათვის წინასწარი მომზადების სტადია დაიყვანება მოსამზადებელ სხდომამდე. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მოსამზადებელ სხდომას არ შეუძლია იკისროს ის მისია, რომელიც საქმის მომზადების სტადიას ეკისრება. საქმის მომზადების მიზნით სასამართლომ უნდა დაავალოს მხარეებს სეასრულოს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება, მაგრამ ეს უნდა მოხდეს კანონით დადგენილი წესით (სსსკ-ს 201-204-206-ე მუხლები). დაუშვებელია თითოეული ამ საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის მოსამზადებელი სხდომების დანიშვნა.

ზემოაღნიშნული დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს „თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ერთ-ერთ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება. აღნიშნული საქმის განხილვა დაიწყო 2015 წელს მოსამზადებელი სხდომა ჩატარდა 10-ჯერ გადაწყვეტილება კი გამოვიდა 2017 წლის 22 თებერვალს მე-11-ე სხოდამზე. აღნიშნული საქმე სასამართლოში შევიდა 2015 წლის 26 ივნის, სხდომის ჩანიშვნას სასამართლომ დაახლოებით ნახევარი წელი მოანდომა, რაც თავისთავად იწვევს საქმეში მონაწილე ერთ-ერთი მხარის ინტერესების დარღვევას“.<sup>35</sup>

მოსამზადებელი სხდომა არ არის საქმის მომზადების მთავარი ელემენტი, მაგრამ თუკი იგი დაინიშნა მაშინ საბოლოოდ უნდა იქნეს განხილული და გადაწყვეტილი საკითხები მხარეების მიერ დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის შესახებ, სასამართლოს მიერ მხარეთა თხოვნით ამ

---

<sup>34</sup> ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ 2015წ. გვ 416.

<sup>35</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმე N2/12369-2015.

მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თუ სხვა საკითხების თაობაზე.

ზემოთ მითითებულ საკითხებზე მსჯელობა დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული, თუკი არ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც ეს საკითხები ვერ იქნა დაყენებული მომზადების სტადიაზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანონი არ ითვალისწინებს მოსამზადებელი სხდომის გადადებას და განმეორებით მრავალჯერ დანიშვნას.

### **თავი III.I. სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის დანიშვნის წესი**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 05 დღის ვადაში ნიშნავს სასამართლოს მთავარ სხდომას. სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვის დღეს სასამართლო იმ ვარაუდით ნიშნავს, რომ მხარეებს შესაძლებლობა ქონდეთ მოემზადონ ზეპირი შეჯიბრებისთვის. საქმის დროულად და სრულყოფილად მომზადების უზრუნველყოფა შესაძლებელია ორი გარემოების ერთდროულად არსებობისას:

- 1) სასარჩელო მოთხოვნის შინაარსიდან გამომდინარე, მოსამართლემ სრულად და ზუსტად განსაზღვრა იმ საპროცესო მოქმედებათა წრე, რომელთა შესრულება აუცილებელია ამ საქმის ყოველმხრივი და დროული მომზადებისათვის.
- 2) მხარეების სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ასრულებენ მოსამართლის მიერ მითითებულ საპროცესო მოქმედებებს, დროულად აღძრან სასამართლოს წინაშე მათთვის საჭირო და სასარგებლო შუამდგომლობები, მაგალითად: მესამე პირებად ჩაბმის შესახებ, მოწმის დაბარების შესახებ და სხვა. მთავარი არის ის, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის ბატონობის პირობებში, მხარეს მტკიცედ უნდა წამდეს, რომ მის უმოქმედობას შეიძლება მისთვის არახელსაყრელი შედეგი მოჰყვეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, საქმის განხილვას აქვს თავისი ვადა, მაგრამ ეს ვადა დადგენილიც რომ არ იყოს, საქმე მაინც განხილულ უნდა იქნეს გონივრულ ვადაში. აღნიშნულს ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლიც, კერძოდ „გონივრულ ვადაში“ საქმის განხილვას. ეს ნიშნავს, რომ საქმის წინასწარი მომზადება არ შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის არსებითად განხილვის დანიშვნის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება (სსს-კ-ს 207-ე მუხლი). ამ განჩინებით მთავრდება საქმის წინასწარი მომზადების ეტაპი და იწყება ახალი ეტაპი - საქმის მთავარ სხდომაზე ზეპირი განხილვის ეტაპი.

#### **თავი IV. სასამართლო მტკიცება და მტკიცებულებები**

(მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალწარმოებაში და შედარებით სამართლებრივი ანალიზი)

ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, საქმი აღიძვრება მხოლოდ საქმის იმ მასალების საფუძველზე, რომელიც მოსარჩელემ წარადგინა. იმ შემთხვევაში თუკი არასრულყოფილი ხასიათისაა წარმოდგენილი მტკიცებულებები, ან თუკი სასარჩელო განცხადება არასათანადო მხარემ შეიტანა, ეს გარემოებები სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველს არ წარმოადგენს, არამედ ხდება საქმეში ახალი პირების ჩართვა, ახალი მტკიცებულებები წარმოდგენა, რაც უკვე თავისთავად იწვევს პროცესის გაჭიანურებას, რადგან ხდება საქმის განხილვის გადადება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მტკიცებულებების ზუსტ განმარტებას არ იძლევა. თუმცა 102-ე მუხლის პირველ ნაწილში ირიბად მაინც არის ნათქვამი, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზეც ამყარებს თავის მოთხოვნებს და შესაგებელს.

აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას რომ, „მტკიცებულება არის ყველა ის გარემოება, რომელზეც მხარე ამყარებს თავის მოთხოვნას თუ შესაგებელს.“<sup>36</sup> ანუ მტკიცებულება არის ის ფაქტობრივი გარემოება, ისეთი ფაქტი, რომელიც ობიექტურ სინამდვილეში არსებობს, ანდა სხვადასხვა ცნობა ამ ობიექტურ სინამდვილეში არსებულ ფაქტებზე.

„სასამართლოში მტკიცებულებები გამოიყენება საქმის ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად. სასამართლოს არ შეუძლია გადაწყვიტოს არც ერთი საქმე გარემოებების დადგენის გარეშე. სასამართლოს ამოცანაა მოქალაქეებსა და ორგანიზაციების უფლებების და კანონით დაცული ინტერესების დაცვა. იმისთვის, რომ სასამართლომ განახორციელოს ასეთი დაცვა, ყოველ შემთხვევაში, უნდა დაადგინოს არსებობს თუ არა სინამდვილეში ის სამართალი, რომლის დაცვასაც ითხოვს მოსარჩელე, ეკისრება თუ არა მოპასუხეს შესაბამისი ვალდებულება და რაში გამოიხატება ის. ე.ი. უნდა იყოს გარკვეული სადავო სამართალურთიერთობები. კანონი უფლებების და ვალდებულებების აღმოცენებას, შეცვლასა და შეწყვეტს უკავშირებს გარკვეული იურიდიული ფაქტების დადომას.“<sup>37</sup>

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებამდე სასამართლო ვალდებული იყო არა მარტო დახმარებოდა მხარეებს მტკიცებულებათა შეგროვებაში, არამედ მას მოეთხოვებოდა დამოუკიდებლად შეეგროვებინა მტკიცებულებები საქმეზე. „მტკიცებულებათა შეგროვება, ძირითადად სასამართლოს უფლებამოსილებას წარმოადგენდა და იგი არ იყო დამოკიდებული მხარეთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე. სასამართლო თავად განსაზღვრავდა მათ შინაარსს, აუცილებლობას, შეხედულებას და დასაშვებობას.“<sup>38</sup>

---

<sup>36</sup> კობახიძე ა. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2003 წ., გვ.191.

<sup>37</sup> ლორთქიფანიძე ლ. სასამართლო მტკიცებულებების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი სამოქალაქო პროცესში. სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“ N5 (7), თბილისი 2011 წ. გვ.35.

<sup>38</sup> ჭყონია მარინე, მტკიცებულებების დასაშვებობის და შესახებობის შემოწმების სტადიები (მტკიცებულებათა მოოვების და წარდგენის სტადიების ისტორიული მიმოხილვა)

ამჟამად სასამართლო მტკიცებულებების შეგროვების ვალდებულებისაგან განთავისუფლებულია, შესაბამისად ეს ვალდებულება ეკისრება საქმეში მონაწილე პირებს, მაგრამ ამ პირებს ზოგჯერ არ შეუძლიათ დამოუკიდებლად მიიღონ მტკიცებულებები სხვადასხვა ორგანიზაციისა და დაწესებულებებში. მიუხედავად შეჯიბრებითობის პრინციპის დამკვიდრებისა, სასამართლოებს შემორჩათ საკუთარი ინკვიზიციურობის გამოჩენის შესაძლებლობაც, თუმცა ეს ინიციატივები ამომწურავად არის მითითებული თითოეულ მუხლში. „სასამართლოს შეუძლია გამოიჩინოს ინიციატივა იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ამას სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს“<sup>39</sup>

რაც შეეხება სასამართლო მტკიცებას „სასამართლო მტკიცების პროცესი - ესაა საქმიანობა, რომელსაც ახორციელებენ მხარეები და სასამართლო იმ ფარგლებში და წესით, რომელიც განსაზღვრულია კანონით.“<sup>40</sup>

„სასამართლო მტკიცება წარმოადგენს მტკიცებულებათა შეგროვებას, შემოწმებას და შეფასებისათვის სასამართლოსა და მხარეების კანონით მოწესრიგებულ საქმიანობას, რომლის მიზანია საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების (ფაქტების) დადგენა.“<sup>41</sup>

მტკიცების პროცესი გადის ორ ეტაპს:

1. მტკიცებულებათა შეგროვება და საქმის მომზადების სტადიაზე მათი წარდგენა.
2. პირველ ინსტანციაში მტკიცებულებათა გამოკვლევა.

სასამართლო მტკიცების სუბიექტად სასამართლოში გამოდიან მხარეები, ანუ მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, თანამონაწილეები, თუმცა მტკიცებულებათა შეფასება, მათი

---

საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“ N4 (24), თბილისი, 2013 წელი, გვ.46.

<sup>39</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება. საქმე N28/550-2014, გვ.6.

<sup>40</sup> ლილუაშვილი თ. ლილუაშვილი გ. ხრუსტალი ვ. ძლიერიშვილი ზ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. პირველი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2014 წელი, გვ.259.

<sup>41</sup> ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2007 წელი, გვ.11.

უპირატესობის და სარწმუნოების შეფასება შეუძლია მხოლოდ საქმის განმიღველ მოსამართლეს.

„სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი ნაწილდება იმგვარად, რომ მოსარჩელეს და მოპასუხეს უნდა დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომელთა მტკიცება მათთვის უფრო მარტივი და ობიექტურად შესაძლებელია. მხარეს, რომელიც თავის მოთხოვნას თუ შესაგებელს აფუძნებს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებას, ეკისრება მითითებული გარემოების მტკიცების ტვირთი. ამასთან, არამართო მოსარჩელეა ვალდებული ამტკიცოს სარჩელში მოყვანილი გარემოებები, არამედ მოპასუხეცაა ვალდებული დაამტკიცოს მის მიერ შესაგებელში მოყვანილი გარემოებები.“<sup>42</sup>

ქართული საქმოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, არსებობს მტკიცებულებების შემდეგი სახეები: მხარეთა ახსნა-განმარტება, მოწმეთა ჩვენება, ფაქტების კონსტანტაცია მასალებით, წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები და ექსპერტიზის დასკვნა.

მტკიცებულებათა შეგროვების მიზნით, საქმის მომზადების სტადიაზე, სასამართლო ასრულებს 203-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოქმედებას: მხარეთა თხოვნით გამოითხოვს მტკიცებულებებს, იქნება ეს წერილობითი თუ ნივთიერი სახის, თუკი მხარემ მისი მოპოვება სათანადო მიზეზების გამო ვერ შეძლო. აღნიშნული ნორმა თავისი ბუნებით შეჯიბრებითობის პრინციპის გამომხატველია, კერძოდ ნათლად ჩანს მხარეთა ნება გამოიჩინონ ნება, აქტიურობა იმ ფაქტების დამტკიცების საკითხში, რომლებიც მათ მოთხოვნას უფრო დასაბითებულს ხდიან.

აღსანიშნავია ისიც, რომ სსკ-ს 105-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სასამართლოსთვის არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ

---

<sup>42</sup> თბილისის სააკველაციო სასამართლო 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N28/1100-2015, გვ.8.

დადენილი ძალა.<sup>43</sup> აღნიშული ნორმის შინაარსი გულისხმობს, რომ არც ერთ მტკიცებულებას არ გააჩნია ერთმანეთის მიმართ რაიმე უპირატესობა. მაგალითის სახით, ექსპერტიზის დასკვნას არ გააჩნია რაიმე სახის უპირატესობა სხვა მტკიცებულებებთან შედარებით, მაგალითად მოწმის ჩვენებასთან შედარებით (რასაც სამწუხაროდ პრაქტიკაში ზოგჯერ აქვს ადგილი). მთავარია, რომ ნებისმიერი სახის მტკიცებულებას, სასამართლომ შეფასება უნდა მისცეს. იყო შემთხვევა როდესაც სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა მტკიცებულებები, რითაც დაირღვა სსსკ-ს 105-ე მუხლის დანაწესი მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად დასკვნის გამოტანის თაობაზე, რაზედაც საკასაციო სასამართლომ განმარტა: „სასამართლომ, საქმოქალქო საქმეზე კანონით დადგენილი წესით მიღებული ყველა მტკიცებულებას შეფასება უნდა მისცეს.“<sup>44</sup>

„მას შემდეგ, რაც მოსამართლე ცალ-ცალკე შეამოწმებს თითოეული მტკიცებულებების სარწმუნოებას, მან ასევე უნდა შეაფასოს ისინი ერთობლივად, სხვა მტკიცებულებებთან ერთად. აქ მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, ხომ არ ავსებს ერთ-ერთ მტკიცებულება მეორეს, ან პირიქით, ხომ არ არის მათ შორის წინააღმდეგობა. ასევე შესამოწმებელია, მოწმის შვენება განცალკევებულია თუ სხვა ახსნა-განმარტებებს, დოკუმენტებსა და უდავო გარემოებებს ემსახურება.“<sup>45</sup>

სსსკ-ს 103-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას, იურიდიული ძალა არ აქვს. სამწუხაროდ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ იძლევა განმარტებას აღნიშნულთან დაკავშირებით, თუ რა სახით მოპოვებული მტკიცებულება ითვლება კანონის დარღვევით მოპოვებულად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს მტკიცებულების მოპოვება ხომ არ ეწინააღმდეგება რაიმე კანონს. მტკიცებულებად დართვის თაობაზე ფარულ

---

<sup>43</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=143> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 2020 წლის 20 აგვისტოს მდგომარეობით.

<sup>44</sup> სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება ას-387-636-08, გვ.4.

<sup>45</sup> თომას ჰერმანი. მტკიცებულებითი სამართალი. თარგმანი ეთერ ჩაჩანიძის. თბილისი 2016 წელი, გვ.24

სატელეფონო საუბართან დაკავშირებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ შემდეგი განმარტება გააკეთა: „ვინაიდან სატელეფონო საუბარი, მეორე მხარის ნებართვის გარეშე, ფარულად არის ჩაწერილი, ამიტომ იგი კანონდარღვევითაა მოპოვებული, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ჩანაწერი, დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს მიჩნეული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის კონტექსტში. მითითებული დასკვნის საფუძველს კი წარმოადგენს ის გარემოება, რომ პირადი საუბრის ფარული ჩაწერა, ხოლო შემდეგ სასამართლოში მტკიცებულების სახით წარდგენა, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გარანტირებული პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობას, ასევე კონსტიტუციის მე-16 მუხლს, რომელიც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას ეხება.“<sup>46</sup>

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ : „ინდივიდმა კერძო საუბრები უნდა აწარმოოს იმის ეჭვისა და შიშის გარეშე, რომ საიდუმლო ჩანაწერს, ბინმე მისი ნებართვის გარეშე და ნების საწინააღმდეგოდ გამოიყენებს.“<sup>47</sup>

რაც შეეხება მტკიცებულებების უზრუნველყოფას, მტკიცების სუბიექტებს, უფლება აქვთ, სასამართლოსგან მტკიცებულებების უზრუნველყოფა მოითხოვონ, თუკი არსებობს საშიშროება იმისა, რომ მათი წარდგენა შემდგომში შეუძლებელი გახდება ან ძნელი გახდება. ეს არის ისეთი შემთხვევები, როდესაც მტკიცებულებად წარმოდგენილია მალფუჭებადი პროდუქტები, ან სხვა მსგავსი შემთხვევა, ანუ უნდა იქნეს ისეთი გარემოებები შექმნილი, როდესაც არსებობს იმის საფუძველი, რომ არსებობს ვარაუდი იმის რომ განადგურდეს ან დაიკარგოს მტკიცებულებები.

მტკიცების ტვირთი ასეთ შემთხვევაში ეკისრება იმ პირს, რომელიც შუამდგომლობს მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე.

---

<sup>46</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლო 2014 წლის 07 ოქტომბრის განჩინება, სამოქალაქო საქმე N28/6800-13, გვ.8

<sup>47</sup> გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 109-ე მუხლის მიხედვით, მტკიცებულების უზრუნველყოფას სასამართლო აწარმოებს სამოქალაქო პროცესის აღძვრის მომენტიდან და საქმის აღძვრამდეც, მოსამართლე უფლებამოსილია ზომები მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების სტადიაზეც მიიღოს, თუკი ამის აუცილებლობა შეიქმნება.

მნიშვნელოვანია თუ როგორ რეგულირდება მტკიცებულებებთან დაკავშირებული საკითხები სხვა ქვეყნის კანონმდებლობაში:

რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 195-ე მუხლის თანახმად, „სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში ემყარება მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც იყო გამოკვლეული სასამართლო სხდომაზე.“<sup>48</sup>

პროცესუალური წესების დაცვა მტკიცებულებებთან მიმართებით იმდენად იდინდა, რომ საქართველოს კონსტიტუციაში გაწერილია, „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არ აქვს.“<sup>49</sup> რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციაშიც იგივე ჩანაწერია, კერძოდ: მართლმსაჯულების განხორციელებისას არ დაიშვება ისეთი მტკიცებულებების გამოყენება, რომელიც მიღებულია კანონის დარღვევით (მუხლი 50).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ იძლევა მტკიცებულებების განმარტების ცნებას, იგი მხოლოდ მტკიცების ტვირთზე მის დასაშვებობაზე მიუთითებს.

სასამართლო მტკიცებულების ცნება განმარტებულია წიგნში - „რუსეთის სამოქალაქო საპროცესო სამართალი“ , სადაც აღიშნულია, რომ „სასამართლო მტკიცებულება წარმოადგენს ფაქტიურ მონაცემს, რომელიც ფლობს განკუთვნიანობის თვისებას, რომელსაც პირდაპირ და არაპირდაპირ შეუძლია დაადასტუროს ფაქტი, რომელსაც სასამართლო საქმის სწორი გადაწყვეტისათვის აქვს მნიშვნელობა, რომელიც კანონით

---

<sup>48</sup> რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 2020 წლის 20 აგვისტოს მდგომარეობით

<sup>49</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 2020 წლის 20 აგვისტოს მდგომარეობით

გათვალისწინებული ფორმითაა მიღებული და გამოკვლეულია კანონით დადგენილი პროცესუალური წესით.<sup>50</sup>

კანადის კვებეკის სამოქალაქო კოდექსი (1991 წ.) მეშვიდე წიგნის მეორე ტიტულში, მტკიცებულებას 2811-ე მუხლი ასე განამარტავს: „რომელიმე ფაქტის ან იურიდიული აქტის მტკიცებულება შეიძლება იყოს განხორციელებული იურიდიული წერილობითი დოკუმენტი, ჩვენებით, პრეზუმციით, აღიარებით ან მატერიალური ნივთების წარდგენის შესაბამისად, რომელიც მოყვანილია ამ წიგნში და წესით, რომელიც განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსში.“<sup>51</sup>

მსგავსად ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსისა, ამერიკის სამოქალაქო საპროცესო სამართალში, მტკიცების საშუალებებია: ჩვენება სხვისი სიტყვებიდან, მოწმეთა ჩვენება, დოკუმენტური მტკიცებულებები, ნივთიერი მტკიცებულებები, სამაგალითო მტკიცებულება, მხარეთა ახსნა განმარტება, ექსპერტის დასკვნა.

ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიხედვით, მოსამზადებელ სტადიაზე მოსამართლეები სწავლობენ მხარეთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს არა იმისთვის, რომ დაეხმარონ მხარეს და ურჩიონ მას შეცვალოს ან დაამატოს რაიმე, არამედ იმისათვის, რომ თავად იყოს მომზადებული საქმის მოსმენის დროს. აქედან გამომდინარე ყველა იმ დოკუმენტაციას, რასაც ერთი მხარისაგან ღებულობს, უგზავნის მეორეს და პირიქით. „როდესაც ადვოკატი ისმენს კლიენტის მონათხრობს და აფიქსირებს მას თავის ფურცლებზე, ამას აკეთებს არა მხოლოდ საქმის არსის გასაგებად, არამედ აგრეთვე ამ მონათხრობიდან იგი ირჩევს მისთვის საჭირო ფაქტებს და ასახავს მათ სარჩელში არც ისე მოკლედ, მაგრამ არც ძალიან დაწვრილებით.“<sup>52</sup>

ამერიკელი მოსამართლე, მსგავსად ქართული სამართლისა, თავად წყვეტს ესა თუ ის მტკიცებულება მიეკუთვნება თუ არა დავის საგანს. თუკი

---

<sup>50</sup> Гражданское процессуальное право России / Под редакцией профессора П.В. алексия, профессора Н.Д. Амаглобели // Закон и правую Мослва, . 2005.

<sup>51</sup> კანადის სამოქალაქო კოდექსი 1991 წელი.

<sup>52</sup> Field R ; Kaplan B. Materials for e basic Course of Civil procedure.New York, 1973 p : 375

სარჩელში მითითებულია რაიმე დოკუმენტზე ან ხელშეკრულებაზე, მაშინ ისინი უნდა ერთოდეს ამ სარჩელს, როგორც მტკიცებულება, ხოლო თუკი სარჩელი ეყრდნობა კანონს, უნდა იყოს მითითებული შესაბამისი კანონიც (მსგავსი რეგულაცია არსებობს ქართული კანონმდებლობის მიხედვითაც). მოწმის ჩვენება, აქაც საკმაოდ გავრცელებული საშუალებაა. ყოველი პირი შეიძლება იყოს მოწმე, თუ მისი კომპეტენცია შემოწმებული იქნება კანონით დადგენილი წესით და ფორმით.

„პირი შეიძლება ფსიქიკური ავადმყოფი იყოს, მაგრამ თუ მას შეუძლია ილაპარაკოს სისწორე, სწორად გაიგოს თავისი ვალდებულება სასამართლოს წინაშე, გაუძლოს ჯვარედინ დაკითხვას, მაშინ ეს მოწმე კომპეტენტურ მოწმედ იქნება მიჩნეული და მისი ჩვენება შეფასდება მსაჯულების მიერ.“<sup>53</sup>

„ექსპერტად შიძლება ჩაითვალოს პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა, უნარები და გამოცდილება. ექსპერტს უფლება აქვს მისცეს თავისი დაკვირვების შესახებ ჩვენება, მაგალითად ზიანის ანაზღაურების შესახებ, როდესაც იგი, როგორც ექიმი მკურნალობდა მოსარჩელეს.“<sup>54</sup>

„პრეიუდიციული ფაქტები არ საჭიროებენ დადასტურებას, ამასთან ერთად მხარეები იგივე უნდა იყოს . ასეთ შემთხვევაში ის, რაც უკვე ადრე დაადასტურა სასამართლომ იმის დადასტურება ხელმეორედ აღარ ხდება.“<sup>55</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოში მართლმსაჯულება ხორციელდება შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების შესაბამისად, რომელიც ინკვიზიციურობისაგან განსხვავებით, არ გულისხმობს სასამართლოს მიერ საქმეზე „ობიექტური ჭეშმარიტების“ დადგენას, არამედ საქმის განხილვისას სასამართლო მთლიანად ეყრდნობა მხარეთა აქტიურობას და გამოაქვს დასაბუთებული გადაწყვეტილება. თუმცა საოჯახო საქმეების

---

<sup>53</sup> Roger C. Park, David P. Leonard, Steven H. Colberg, Evidence Law, 2008, p. 475

<sup>54</sup> Roger C. Park, David P. Leonard, Steven H. Colberg, Evidence Law, 2008, p. 534

<sup>55</sup> გაი ლილუაშვილი. სამოქალაქო საქმეებზე ამერიკის მტკიცებულებითი სამართალი. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი. 2010 წელი. გვ 248.

განხილვისას, კანონმდებლობა ითვალისწინებს ინკვიზიციურობის პრინციპის გამოყენების შემთხვევას, კერძოდ სსსკ-ის 354-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა - განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზეც მხარეებს არ მიუთითებიათ.<sup>56</sup>

ბავშვთა უფლებების დაცვის ევროპული კონვენციის მესამე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.“<sup>57</sup> აღნიშნული ხაზს უსვამს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს სასამართლოს ჩართულობა დავის განხილვისას, როდესაც არასრულწლოვნის ინტერესებს ეხება საქმე. შესაბამისად, გადახვევას დისპოზიციურობის პრინციპიდან აღნიშნულ ნაწილში ვეძებო.

რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას მტკიცებულებებთან დაკავშირებით, არის შემთხვევები, როდესაც მტკიცებულების უქონლობის გამო სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის განჩინება გამოაქვს სასამართლოს და აღნიშნულს ასაბუთებს სსსკ - ის 178-ე მუხლით, სადაც მითითებულია, რომ სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ გარკვეულ გარემოებებს.

როგორც ვხედავთ კანონი ავალდებულებს მოსარჩელეს, სარჩელის წარდგენის ეტაპზე, მიუთითოს მტკიცებულებებზე, რომლებიც დაადასტურებენ სარჩელის საფუძველში მითითებულ გარემოებებს. მართალია მტკიცებულების დართვა სარჩელზე ძალზედ სასურველია,

---

<sup>56</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962> 2020 წლის 20 აგვისტოს მდგომარეობით.

<sup>57</sup> ბავშვთა უფლებების დაცვის ევროპული კონვენცია. გვ 3

თუმცა ეს არ უნდა იყოს სარჩელის წარმოებაში მიღების სავალდებულო პირობა.

წარმოებაში მიღების სტადიაზე მტკიცებულებათა შეფასება დაუშვებელია, რადგან ეს მოქმედება არღვევს შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპს, ამასთან იგი ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა შეფასების უმთავრეს პრინციპს, რომელის სსსკ-ის 105-ე მუხლშია მოცემული.

„სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის დანაწესის შესაბამისად, საპროცესო კოდექსი, აწესებს მტკიცების განაწილების სტანდარტს, თუმცა თითოეული მტკიცებულების შეფასებას, სასამართლოს შინაგან რწმენას უკავშირებს. სასამართლოს შინაგანი რწმენა ფორმირება ეფუძნება მტკიცებულებათა ყოველმხრივ და სრულ გამოკვლევას. სასამართლოს შინაგანი რწმენის ჩამოსაყალიბებლად, მხედველობაში მიიღება და ფასდება თითოეული მოვლენა, რომელიც არსებობს ამ გარემოების ირგვლივ. ამდენად შინაგანი რწმენით მტკიცებულებათა შეფასება ხდება დამოუკიდებლად, ხდება თითოეული მტკიცებულების მნიშვნელობის განსაზღვრა და ასევე მათი ერთობლიობაში შეფასება.“<sup>58</sup>

სსსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს და შესაგებელს. შესაბამისად მხარის მოვალეობაა, დაამტკიცოს მტკიცებულებების გამოყენებით გარკვეული სახის ფაქტობრივი გარემოებები, მხოლოდ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ. ფაქტების დამტკიცების მოვალეობის შესრულება, ანუ მტკიცებულებების სასამართლოში წარდგენა, არის არა სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობა, არამედ პირიქით, სარჩელის წარმოებაში მიღების შედეგად წარმოშობილი მოვალეობა. ამიტომ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმა აღნიშნული საფუძვლით არის დროის უნაყოფოდ ხარჯვა და იწვევს საქმის განხილვის გაჭიანურებას.

---

<sup>58</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 23 მარტის განჩინება, საქმე № 28/2771-2015. გვ 3

## ლიტერატურის მიმოხილვა

აღნიშნული ნაშრომის დასაბუთებულობისა და თემის ირგვლივ არსებული მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხების უკეთ გამოკვლევის მიზნით, დამუშავებულ იქნა მრავალი ნორმატიული მასალა, სამეცნიერო ნაშრომები, სტატიები როგორც ქართულ, ასევე რუსულ და ინგლისურ ენაზე, რის შედეგადაც საბოლოოდ ჩამოყალიბებულ იქნა მოსაზრება საკითხთან დაკავშირებით, რაც მოცემულია დასკვნის სახით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამწუხაროდ, თემასთან დაკავშირებით, ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომები არც თუ ისე ბევრი გვაქვს, ან არის, მაგრამ კანონში შესული ცვლილებების შედეგად, დღევანდელ საკანონმდებლო სისტემას არ ესადაგება, ამიტომ ვეცადეთ არსებული ბაზა მაქსიმალურად ყოფილიყო ათვისებული.

თემის ირგვლივ, საკმაოდ ვრცლად აქვთ ნამსჯელი ბატონ თენგიზ ლილუაშვილს ნაშრომში „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, საიდანაც დამუშავებულ იქნა საქმის მომზადების სტადიის მიზანი და მნიშვნელობა .

ასევე ვრცელი ინფორმაცია იქნა დამუშავებული შალვა ქურდაძისა და ნინო ხუნაშვილის ერთობლივი ნაშრომიდან „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი“. გამოყენებულ იქნა აღნიშნული წიგნის როგორც პირველი გამოცემა, ასევე მეორე. წიგნიდან ძირითადად გამოყენებულ იქნა უწყების გაგზავნის წესის შესახებ გადმოცემული ინფორმაცია. ასევე დამუშავებულ იქნა ავთანდილ კობახიძის ნაშრომი „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, სადაც ნათლად სჩანს მსჯელობა საქმის მომზადების მიზანთან დაკავშირებით . და ასევე შალვა ქურდაძის ნაშრომი „საპროცესო მოქმედების შესრულების თავისებურება სამოქალაქო სამართალწარმოებაში.“

შესაგებელთან და შეგებებულ სარჩელთან დაკავშირებით მსჯელობის უკეთ ჩამოსაყალიბებლად, მოყვანილ იქნა რობიზონ ხურცილავს ნაშრომი „შესაგებელი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით“, და ასევე შტეფან შმიტის, ჰარალდ რიჰტერის ნაშრომი „მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში“.

მტკიცებულებებთან დაკავშირებით გამოკვლეულ იქნა ლევან ლორთქიფანიძის ნაშრომი, „სასამართლო მტკიცებულებების შედარებით - სამართლებრივი ანალიზი სამოქალაქო პროცესში“, მარინე ჭყონიას ნაშრომი „მტკიცებულებების დასაშვებობისა და შესახებობის შემოწმების სტადიები (მტკიცებულებათა მოპოვებისა და წარდგენის სტადიების ისტორიული მიმოხილვა). და ილონა გაგუას ნაშრომი „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“. სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, ინფორმაცია იქნა მოძიებული თენგიზ ლილუაშვილისა და ვალერი ხრუსტალის წიგნიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი“, და ასევე თენგიზ ლილუაშვილის, გაა ლილუაშვილის, ვალერი ხრუსტალისა და ზურაბ ძლიერიშვილის წიგნიდან სამოქალაქო საპროცესო სამართალი. გამოყენებულ იქნა ასევე ზურაბ ძლიერიშვილის ნაშრომი „სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები“.

რაც შეეხება უცხოენოვან ლიტერატურას, იგი დამუშავებულ იქნა სასამართლო მტკიცებისა და მტკიცებულებების ნაწილში, აღნიშნულზე მსჯელობისას ძირითადად მოძიებულ იქნა ცნობები მტკიცებულების სახეების და მნიშვნელობის თაობაზე, ასევე აღნიშნულმა შესაძლებლობა მოგვცა მოგვეხდინა შედარებით სამართლებრივი ანალიზი.

გამოყენებული ლიტერატურა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე და ასევე თემის აქტუალობიდან გამომდინარე, არის მეტად საინტერესო და იგი უშუალოდ ასახავს იმ პრობლემურ საკითხებს, რომელიც სასამართლოს მიერ საქმის მომზადების მიზნით შესასრულებელ მოქმედებებში იჩენს თავს.

## დასკვნა

კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ სასამართლოს მიერ საქმის მომზადების მიზნით შესასრულებელი მოქმედებები, ხელს უწყობს საქმის სწორად გადაწყვეტას, ასევე სრულად განაპირობებს და აისახება საბოლოო გადაწყვეტილებაზე. აუცილებლად არის ისეთი რეგულაციების მიღება, რომლებიც ხელს შეუწყობს სწრაფ და ეფექტიან მართლმსაჯულების განხორციელებას. დღეის მდგომარეობით, „სწრაფი და ეფექტიანი სასამართლოს“ სახელი, მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს, რასაც განაპირობებს ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორცაა სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული ვადების დარღვევა.

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილი იმპერატიულად განსაზღვრავს საქმის განხილვის ვადებს, რომელიც არ უნდა სცილდებოდეს განცხადების მიღებიდან ორ თვეს, ხოლო, განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე, განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 05 თვისა. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე კანონი პირდაპირ მიუთითებს საქმის განხილვის მაქსიმალურ ვადასთან დაკავშირებით, თუმცა დღევანდელი პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ნორმა არსებობს როგორც „მკვდარი ნორმა“, რადგან მისი დაცვა ხშირ შემთხვევებში არ არის შესაძლებელი. აღნიშნულს იწვევს საქმის სიმრავლე და სხვა ფაქტობრივი

გარემოებები. საქმე იწელება არათუ 05 თვიანი ვადის ფარგლებში, არამედ რამდენიმე წლითაც კი. პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც მხარეს სამოქალაქო საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეტანილი ქონდა 2011 წლიდან, საქმე არ გასცდენია პირველი ინსტანციის ფარგლებს, 2017 წელს მხარე იყო იძულებული მიემართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთვის სამართალწარმოებისა და სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევის აღიარების მიზნით. სასამართლო უნდა იყოს არამარტო ყველასათვის ხელმისაწვდომი, არამედ ეფექტიანიც. დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, სასამართლოს, როგორც დავის სწრაფ და ეფექტიან გადაწყვეტის საშუალებას, პრაქტიკა არ იცნობს. ერთ მოსამართლეს საშუალოდ 300-400 საქმე აწერია პროგრამულად, (შემთხვევითობის და პირდაპირი განაწილების პრინციპის მიხედვით) როგორც მიმდინარე, რაც ვფიქრობ წინააღმდეგობაში მოდის ბანგალორის პრინციპებთან, კერძოდ მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის პრინციპებთან. ყოველივე ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ორი ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, პირველი ეს არის სასამართლოსადმი ნდობა, ხოლო მეორე არის დაბალი ეკონომიკური მაჩვენებელი ქვეყნის შიგნით. ჩემის აზრით, პირველი ფაქტობრივი გარემოება უნდა გამორიცხოს, რადგან როდესაც მხარე მიმართავს სასამართლოს, ვფიქრობ, რომ მას გააზრებული აქვს საქმის დროში წელვადობის საკითხი, თუმცა მხარე ყოველთვის ეცდება სხვა ალტერნატიული საშუალებებით პრობლემის მოგვარებას ისევე იქიდან გამომდინარე რომ დროში წელვადია პრობლემის სასამართლოს მეშვეობით მოგვარება. აქედან გამომდინარე გამოდის რომ ძირითად პრობლემას წარმოადგენს ეკონომიკური სიდუხჭირე, რაზეც მეტყველებს 2019 წლის სტატისტიკური ინფორმაცია, ვალდებულებით სამართლებრივ კატეგორიაში შესული საქმეებისა, სადაც ნაჩვენებია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში სულ

შესულია 29 382 სამოქალაქო საქმე, საიდანაც 19 982 ვალდებულებით-სამართლებრივ დავას განეკუთნება სხვა დანარჩენი კი განაწილდა დანარჩენი კატეგორიის საქმეებზე. (მაგალითად: სანივთო, საოჯახო, სამეწარმეო და სხვა.)

ვფიქრობ საჭიროა მოხდეს მოსამართლეების დაბატება სხვადასხვა კატეგორიის საქმეებზე. აღნიშნულთან დაკავშირებით არ უნდა მოხდეს რესურსის დაზოგვა, რადგან 2020 წლის დღევანდელ დღემდე რომ ვნახოთ მონაცემები საქმისწარმოებისათვის მხოლოდ ამ ერთი წლის მანძილზე, სახელმწიფო ბაჟის სახით შემოსულია 14 181 711 ლარი, შესაბამისად საქმის ეფექტურად და სწრაფად გადაწყვეტის მიზნით აუცილებელია მოიძებნოს გზა, რომელიც მართლმსაჯულების უკეთ წარმართვას შეუწყობს ხელს.

2. პრობლემის, ისეთი როგორც არის ხარვეზის შევსების ინსტიტუტის დაბრუნების შესახებ რომელიც დღემდე არის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, რომელიც 2011 წლის 28 დეკემბრის კანონით N5667 ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე, განისაზღვრა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსიდან ამოღებულიყო 185-ე მუხლი, რომელიც ხარვეზის შევსების ინსტიტუტს ითვალისწინებდა.

უარის შემთხვევაში, რომელიც ერთხელ უკვე დარეგისტრირდა, გაიარა ფორმალური შემოწმება, დასკანერდა, დაიგრიფა და განაწილდა მოსამართლეზე, მოსამართლემ კი შინაარსობრივი შემოწმების დროს უარი უთხრა გარკვეული მიზეზების გამო, რამედნიმე დღის შემდეგ კვლავ გადის ყველა იმ ეტაპს, როელიც მას უკვე გავლილი აქვს. აღნიშნული აფერხებს, როგორც მხარის სურვილს. დროულად მოხდეს საქმის განხილვა, ასევე სასამართლოს, რომელმაც იგივე მოქმედებები უნდა გაიაროს რაც უკვე გავლილი აქვს.

3. ყურადღება არის გასამახვილებელი ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცია სასამართლო განსჯადობა. აქაც არის დარღვევები

რომელიც ზემოქმედებას ახდენს სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით.

ჩემი აზრით, სასამართლო თვითონ უნდა გზავნიდეს საქმეს განსჯად სასამართლოში, როგორც ამას ასრულებს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგია, თუმცა არის შემთხვევები როდესაც აღნიშნულს ახორციელებს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, თუმცა ძალიან იშვიათ შემთხვევებში.

ვფიქრობ, რომ ამოღებულ უნდა იქნეს 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი, რომელიც თვალისწინებს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმას, განსჯადობის გამო. სასამართლოს უნდა წარმოეშვას ვალდებულება თვითონ გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს საქმე თანდართული მასალებით. სსსკ-ს 23-ე მუხლს უნდა დაემატოს პუნქტი, რომელშიც გაწერილი იქნება, რომ არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წადგენის შემთხვევაში სასამართლო საქმეს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

4. აღსანიშნავია, სასამართლო პრაქტიკა მტკიცებულებებთან დაკავშირებით. არის შემთხვევები, როდესაც მტკიცებულებების უქონლობის გამო, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის თაობაზე, აღნიშნულს ასაბუთებს სსსკ-ს 178-ე მუხლით, სადაც მითითებულია, რომ სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ გარკვეულ გარემოებებს.

წარმოებაში მიღების სტადიაზე მტკიცებულებათა შეფასება დაუშვებლად მიმაჩნია, რადგან ეს ქმედება არღვევს შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპს, ამასთან იგი ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა შეფასების უმთავრეს პრინციპს, რომლის სსსკ-ს 105-ე მუხლშია მითითებული.

მტკიცებულებების სასამართლოში წარდგენა, არის არა სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობა, არამედ პირიქით, სარჩელის

წარმოებაში მიღების შედეგად წარმოშობილი მოვალეობა. ამიტომ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმა აღნიშნული საფუძვლით არის დროის უნაყოფოდ ხარჯვა.

5. თბილისის საქალაქო სასამართლო, სარჩელისა და თანდართული მასალების გაგზავნისას, გზავნილში უთითებს მხოლოდ შესაგებლის წარმოდგენის 10 დღიან ვადაზე. ბათუმის და ფოთის საქალაქო სასამართლოები გზავნილის ფორმაში, გარდა ზემოთნახსენებისა, მიუთითებენ შემდეგს: „მოსარჩელე ვალდებულია, რომ უზრუნველყოს მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარება ფოსტის, სასამართლო კურიერის ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე - ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი გზავნილის ჩაბარება დასტურდება ადრესატის მიერ ელექტრონული საშუალებით მიწოდებული დადასტურებით.“<sup>59</sup> აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ფოთის და ბათუმის საქალაქო სასამართლოებს, გაცილებით უფრო დახვეწილი სასამართლო გზავნილის გაგზავნის პრაქტიკა აქვთ, ვიდრე თბილისის საქალაქო სასამართლოს. უმჯობესი იქნება, თუ აღნიშნულ ფორმას სხვა სასამართლოებიც გამოიყენებენ. აღნიშნული ფორმა გაცილებით ნაკლებ დროს მოითხოვს, იგი ასევე მისაღებია მხარეებისათვის ეკონომიურობის თვალსაზრისით, შესაბამისად ვფიქრობ, აქტიურად უნდა განხორციელდეს როგორც სასამართლოს მხრიდან ასევე მხარეების მიერ აღნიშნული ფორმის გამოყენება.
6. პრობლემას წარმოადგენს ელექტრონულად გადახდილი ბაჟის ქვითრი, ითვლება თუ არა სასამართლოსთვის გადახდილად. ზოგიერთ შემთხვევაში, მხარემ რომელმაც ელექტრონულად გადაიხადა სახელმწიფო ბაჟის ქვითარი ვალდებულია წავიდეს ბანკში, უფლებამოსილ პირს დაარტყმევინოს სველი ბეჭედი და მიიტანოს სასამართლოში. სველი ბეჭდის გარეშე ბაჟის ქვითარი ზოგიერთ შემთხვევაში აღიქმება როგორც დედანი ზოგიერთში არა.

---

<sup>59</sup> ფოთის საქალაქო სასამართლოს გზავნილი ერთ-ერთი საქმიდან.

ერთგვაროვანი პრაქტიკა არ არსებობს რაც დახვეწას საჭიროებს. უნდა არსებობდეს ერთი მაკავშირებელი რგოლი, რომელიც იზრუნებს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას არამარტო მოსამართლეებს შორის არამედ სასამართლო მოხელეთა შორის.

7. შესაგებლის შეტანის ეტაპზე კანცელარია მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რომ შესაგებელი პასუხობდეს ყველა ძირითად ინფორმაციას. ხაზგასასმელია, რომ სარჩელის დარეგისტრირება არ ხდება, თუკი იგი არ არის ფორმალურად გამართული, კერძოდ არ არის მითითებული დავის საგანი, არ იკვეთება მოთხოვნა, არ არის განსაზღვრული სარჩელის ფასი და სახელმწიფო ბაჟის ოდენობა. აღნიშნულ შემთხვევაში კანცელარია არ არეგისტრირებს სარჩელს. სწორედ მსგავსი სახის მოთხოვნა უნდა იყოს სავალდებულო შესაგებლის რეგისტრაციის დროსაც, რადგან აღნიშნული ხელს შეუწყობს საქმის წინასასამართლო სხდომამდე შესწავლას და პროცესის გაჭიანურიების თავიდან არიდებას. ხშირად მსგავსი ინფორმაციის მითითება არ ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე მხარე არ იქნეს ინფორმირებული მოპასუხის თავის დაცვის მექანიზმებზე, რაც ვფიქრობ უნდა აღმოიფხვრას.